პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 14 (1443), პარასკევი, 2 აპრილი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამოცანების წინაშე

კომუნისტური მშენებლობის განუხრელი აღმავლობის გზაზე დღითიდღე იზრდება და ფართოვდება საბჭოთა მწერლობის როლი და ამოცანები. კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვით იგი სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ხალხის ცხოვრებას, საზრდოობს ამ ცხოვრებით. სრულყოფს მხატვრული გამოსახვის საშუალებებს, თამამად კაფავს ახალ გზებს და ამდიდრებს მოპოვებულ წარმატებებს. საბჭოთა მწერლობის ძალა და თავისებურება მისი ჭეშმარიტი ხალხურობაა. ხალხის ცხოვრება, მისი ინტერესებისათვის ბრძოლა წარმოადგენს ჩვენი მწერლობის მუდმივი შემოქმედებითი შთაგონების წყაროს და წინსვლის საფუძველს.

საბჭოთა მწერლობა პროგრესული სამყაროს ყურადღებას თავისი მარადი სიჭაბუკით, სიახლისაკენ შეუნელებელი სწრაფვით იქცევს. მოპოვებული წარმატებებით თვითდამშვიდება მისთვის, ისევე როგორც კომუნიზმის მშენებელი ხალხისათვის უცხო და მიუღებელია. სოციალისტური რეალიზმის მწერლობა ყოველთვის ახალია, ყოველთვის ნოვატორული, იგი პირველი კვალავს მწვერვალებისაკენ მიმავალ ბილიკებსა და შარაგზებს, იმუშავებს ეპოქის შესატყვის ფორმებს და პირველი ქადაგებს ჭეშმარიტად პროგრესულ რევოლუციურ იდეებს.

ჩვენი მწერლობა ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს, იგი მხარში უდგას საბჭოთა ხალხს და მასთან ერთად აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას, ჰქმნის ამ საზოგადოების სულიერ ძალას, ხელს უწყობს მომავალი ადამიანების ზნეობრივ ჩამოყალიბებას.

საბჭოთა მწერლობა აქტიურად ეხმაურება ჩვენი ქვეყნის და ხალხის ცხოვრებაში მომხდარ პროცესებს. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, იგი უშუალოდ ერევა ამ პროცესებში და ხელს უწყობს მის განვითარებას. ეს მისი მორალური კოდექსია!

და აი, როცა ჩვენი პარტია სწყვეტს ეკონომიური განვითარების საკითხებს, რომლებიც ნაკარნახევია კომუნისტური მშენებლობის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განვითარების გაუმჯობესებისა და მათი კომუნისტური აღზრდის ინტერესებით, საბჭოთა მწერლობის წმინდა მოვალეობაა უფრო გაბედულად შეიჭრას ცხოვრებაში და გვიჩვენოს დღევანდელი სოფლის სიახლენი, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, მეცნიერთა პატრიოტული თავდადება, მათს სულიერ ცხოვრებაში მომხდარი ძვრები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმი დიდმნიშვნელოვან ნიშანსვეტად შევა კომუნისტური საზოგადოების აშენებისთვის პარტიისა და ხალხის გმირული ბრძოლების მატიანეში. პლენუმმა დასახა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელი ღონისძიებები, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მშენებლობის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები პარტიის უდიდესი შემოქმედებითი საქმიანობის, მისი ლენინური კურსის განუხრელი განხორციელების ცოცხალი განსახიერებაა. პლენუმმა გაბედულად ამხილა სოფლის მეურნეობის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებები და დასახა უაღრესად არსებითი მნიშვნელობის ღონისძიებები, რომლებიც უახლოეს ხანში ჩვენი სოფლის, და არა მარტო სოფლის, ცხოვრების უდიდეს ძვრებს გამოიწვევს, იგი თავის კეთილ გავლენას მხოლოდ სოფლის მეურნეობის ეკონომიკაზე კი არ მოახდენს, არამედ ადამიანთა მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაზეც. უფრო მძლავრად შეისხამს ფრთებს სიკეთე, უფრო მკაფიოდ გამოვლინდება საბჭოთა ადამიანის სულიერი მშვენიერება, მისი სინაზე და სიფაქიზე. დიახ, წარმოიშობიან გმირები, წარმოიშობა ხასიათები, რომლებმაც სიცოცხლე უნდა დაიწყონ მხატვრულ ლიტერატურაში, რათა იმრავლონ და ყოველგვარი სიკეთის მოციქულებად მოევლინონ ქვეყანას, უჩვენონ მკითხველებს ნამდვილი ადამიანური ცხოვრების ლამაზი გზა.

სოფლის თემატიკა ჩვენს ლიტერატურაში ყოველთვის სჭარბობდა; სოციალისტურ სოფელზე შექმნილია მრავალი რომანი, მოთხრობა, ნოველა, ლექსი და პოემა. ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებები ყურადღებას იქცევენ ცხოვრებისა და ხასიათების მართალი, დამაჯერებელი წარმოსახვით, საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი სულის სიცხოველით. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში ჩვენს მწერლობაში თითქმის ერთგვარად გაფერმკრთალდა მშვიდობიან შრომაში ჩაბმული სოფლის სურათები; სოფლის ახალი ადამიანები ლიტერატურაში ველარ ქმნიან მძლავრსა და შთამაგონებელ პათოსს. დიახ, ეს შეინიშნება და ამას აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები მწერლებს შთააგონებს ახალი შემოქმედებითი წარმატებებისათვის. ხალხისათვის, ადამიანისათვის ჩვენი პარტიისა და მთავრობის დიდ ზრუნვას უნდა ვუპასუხოთ ახალი ნაწარმოებებით, რომლებშიც სრულფასოვნად იქნება გამოხატული ეს ზრუნვა, ნაჩვენები იქნება ჩვენი სოფლის დღევანდელი და ხვალინდელი დღე.

უფრო ღრმად შევიჭრათ სოფლის მშრომელთა ცხოვრებაში და უფრო სრულყოფილად ავსახოთ იგი, — ასეთია ჩვენი მწერლობის გადაუდებელი ამოცანა.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

31 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტურენკო, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, ო. ე. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური, შ. ა. დოლიძე**, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები. საბჭოთა მეურნეობების დირექტორები.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ**.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **მ. თ. ბღაბა**, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ა. დ. თხილაიშვილი**, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **გ. ნ. ჯუხოევი**, წითელ წყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ნ. ს. ყორიაშვილი**, თვალსაჩინო მეჩაიე მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ამხ. **ქ. ე. ბახტაძე**, ხეცერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **ა. მ. როგავა**, პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ნ. პ. შონია**, ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" თავმჯდომარე ამხ. **ა. ქ. მურუზიძე**, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. **დ. ი. ნიკურაძე**, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ო. ე. ჩერქეზია**, ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის რექტორი ამხ. **ვ. გ. მამათელაშვილი**, ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ლ. კ. დობრონეცკი**, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარე ამხ. **ი. მ. ხოხლოვი**, ოკამის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. **გ. ო. ნახატაკიანი**, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი ამხ. **დ. გ. შარაშიძე**.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ**.

განხილულ საკითხზე პარტიული აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის შედგენისა და გამოცემის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **გაჩეჩილაძე** პოლიევქტ ლუკას-ძე — მე-7 ტომის რედაქტორი.
2. **გიგინეიშვილი** ივანე მოსეს-ძე — მთავარი რედაქციის წევრი, მე-8 ტომის რედაქტორი.
3. **თოფურია** ვარლამ ტრიფონის-ძე — მთავარი რედაქციის წევრი, მე-3 ტომის რედაქტორი.
4. **კახაძე** ოტია ილარიონის-ძე — მე-5 ტომის რედაქტორი.
5. **კეცხოველი** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — მთავარი რედაქციის წევრი.
6. **კუპრაძე** ვიქტორ დიმიტრის-ძე — მთავარი რედაქციის წევრი.
7. **ლომთათიძე** ქეთევან ბესარიონის ასული — მთავარი რედაქციის წევრი, მე-7 ტომის რედაქტორი.
8. **ლომოური** თამარ ნიკოლოზის ასული — მთავარი რედაქციის წევრი, რეცენზენტი.
9. **მენთეშაშვილი** სტეფანე ბაგრატის-ძე — მთავარი რედაქციის წევრი, მე-7 ტომის რედაქტორი.
10. **მესხიშვილი** მერი ვასილის ასული — მე-6 ტომის რედაქტორი.
11. **ფოჩხუა** ბიძინა არსენის-ძე — მე-8 ტომის რედაქტორი.
12. **შარაძენიძე** თინათინ სიმონის ასული — მე-6 ტომის რედაქტორი.
13. **ჩიქობავა** არნოლდ სტეფანეს-ძე — კომისიის თავმჯდომარე, მთავარი რედაქტორი, I და IV ტომების რედაქტორი.
14. **წერეთელი** გიორგი ვასილის-ძე — მთავარი რედაქციის წევრი, მეორე ტომის რედაქტორი.
15. **ჭაბაშვილი** მიხეილ ნიკოლოზის-ძე — კომისიის სწავლული მდივანი, მე-4 ტომის რედაქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე

ქ. თბილისი, 31 მარტი, 1965 წ.

კინემატოგრაფისტთა კავშირის პლენუმი

30 მარტს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის X პლენუმი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 500-მდე კაცი — ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კინემატოგრაფისტები, მოსკოვის და ლენინგრადის კინოსტუდიების წარმომადგენლები.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: „1964 წლის შემოქმედებითი შედეგები და კინემატოგრაფიის ამოცანები საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით". მოხსენება წაიკითხა საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. კულიჯანოვმა.

დაუმთავრებელი ნახატი

ფართო ტილო... მკრთალი ხაზებით, აქა-იქ მოსმული ფუნჯით კარგად გაირჩევა სიმწვანეში ჩაფლული თბილისი, ლამპიონებით გაჩირაღდნებული მთაწმინდა, მახათა, ნარიყალა, მეტეხი...

ვარსკვლავებით მოჭედილი კრიალა ცა დაჰყურებს საქართველოს დედაქალაქს...

ასე ქმნიდა შემოქმედი წარმოდგენილი თბილისი ღამით და ხატავდა, ხატავდა გატაცებით, მაგრამ...

1941 წელი!..

სამშობლოს ომის ღრუბლები ჩამოაწვა...

და აღიმართა მილიონობით ადამიანთა მტკიცე მარჯვენა სამშობლოს დიდების დასაცავად!

სურათი დაუხატავი დარჩა — ჩანაფიქრი — განუხორციელებელი...

...დამთავრდა ომი. მტერი განადგურებულ იქნა. ომგადახდილი ვაჟკაცები დაუბრუნდნენ თავიანთ კერას. ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა.

ბევრმა თავისი სამარადისო სამყოფელი ბრძოლის ველზე ჰპოვა. ქვეყანამ მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები, მაგრამ რამდენი ჭრილობა დარჩა მოუშუშებელი... რამდენმა ჩაიცვა შავი შინმოუსვლელთა გლოვის ნიშნად!

...სურათი დაუმთავრებელი დარჩა..

სად არის ახლა ახალგაზრდა მხატვარი, რატომ არ ამთავრებს მას, რაზეც ღამეები თეთრად უთენებია და ტკბილი დღეები უღამებია?..

• • •

დილა რომ თვალს გაახელს და ნიავი ალერსით მოირბენს დედათბილისთან, ქალაქი რომ ახმაურდება და ახალი სიცოცხლით იწყებს ძარღვი ფეთქვას, ისიც ამ დროს გამოდის ქუჩაში, ერთხელ კიდევ შეავლებს თვალს სახლს, ეზოს, კარებს დახურავს და დაფიქრებული გაჰყვება ჩოდრიშვილის ქუჩას.

თან მიჰყვება ოცნება შვილებზე, ოჯახზე, მოგონებებზე...

ამ დილით მიიღო წერილი ლამარასაგან. კარგად ვარო, ენატრებოდა დედა, კიდევ რამდენიმე თვეც და... ჟურნალისტი ქალი მეყოლება...

გაეღიმა, სახე გაუბრწყინდა დედას.

ქეთინა იასონის ასული ბახტაძე თბილისის ლენინის რაიონის პირველ პოლიკლინიკაში მუშაობს უფროს ექთნად.

23 წელზე მეტია, რაც ამ სპეციალობაზე მუშაობს და არაერთი მადლობა დაუმსახურებია, როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით.

მაგრამ დღეს რაღაც ვერ არის ჩვეულ ხასიათზე... — რატომ ერევა საანგარიშო? იქნებ სახეზე შეამჩნია? არა, ვერ შენიშნავს იგი. ერთი ამბავი ხანიც და, მერე...

რა მოსდის მაინც? რატომ ერევა საანგარიშო? რას აგონებს დღეს ეს 1941?

...წყეული 1941...

თავბრუ დაეხვია, მაგიდას მძიმედ დაეყრდნო. ფიქრები და სინამდვილე ერთმანეთში აერია.

..დასასრულს უახლოვდებოდა 1941 წლის პირველი ნახევარი. ზაფხული ძალაში შედიოდა. დაცხა თბილისში. შეწუხებული მცხოვრებლები ქალაქიდან გასვლას ფიქრობდნენ. შოთაც ემზადებოდა ცოლ-შვილის წასაყვანად.

— იქნებ ზღვაზე წავსულიყავით ჯერ და, მერე... — უთხრა მეუღლეს, მაგრამ შეატყო ქეთინას ერჩია წყალტუბოში წასვლა და პასუხს არც დაელოდა, თვითონვე დაუმატა: — წყლის ხიბლში გვირჩევნია, ბავშვებსაც მოუხდებათ.

გადაწყვიტეს ერთ კვირაში ასტუმრებოდნენ ხოლმე...

ბევრი საქმე აქვს შოთას ხიბლში, თუ მეგობრების დრო ეყო, სურს ტილოზე გადმოიტანოს ამ ქუჩლების ძველი ქალაქის ხედი, ასწლოვანი ცაცხვებისა და მუხების სიდიადე, დახატოს რაიონის მოწინავე ადამიანები.

არც მეუღლის საყვარელ სოფელს დაივიწყებს, დახატავს ამ სოფლის განთიადს.

მაგრამ ხიბლში წასვლამდე უნდა მოასწროს ახლახან დაწყებული სურათის დაწერა. „თბილისი ღამით", — ასე უწოდა ახალ ტილოს, რომელსაც ორ-სამ დღეში მორჩება ალბათ.

კარგახანია დაიძინეს ბავშვებმა, მეუღლემაც. ქალაქიც მიწყნარდა. შოთას სამუშაო ოთახში კი კვლავ ანთია შუქი, მაგიდაზე ვეებერთელა ტილოა გაშლილი. გვერდით უწესრიგოდაა მიმობნეული სხვადასხვა ფერის საღებავები... მუშაობს მხატვარი...

გრილმა ნიავმა დაუბერა. ეს ალბათ გათენების მოახლოებას ამცნობდა ქალაქს. სადღაც მამალმაც იყივლა — შენ ერთი ვერ გაათენებ მამალო, რაგინდ ბევრიც იყივლო! — გაეხუმრა შოთა მამალს ღამის მყუდროებაში.

ხან ერთი მხრიდან, ხან მეორე მხრიდან დახედა სურათს, რაღაც არ მოეწონა. ახლა შორს დადგა და იქიდან დაუწყო ცქერა. მერე ეზოში გავიდა, დიდხანს უცქირა მთაწმინდას, შეათვალიერა მწვანე ძილს მიცემული ვაკე, საბურთალო, დიდუბე და ნაძალადევი. შებრუნდა და ისევ სურათს დაუწყო თვალიერება.— აქ მეტი ლურჯი აკლია, აქ კი.. მეტისმეტად ბაცი. მაინც რაღაც არ მოეწონა და მიხვდა რომ ეს დაღლილობის ბრალი იყო.

განთიადმა თბილისის აღმოსავლეთის კარი შემოხსნა, შოთას ოჯახი შეშფოთებული ეგებებოდა მას. — წუხელის, პატარა ლამარამ მაღალი სიცხე ქონდა. მეზობლებმაც გაიზიარეს მათი დარდი და... წუხილი. — ვინ წამლის მოსატანად მიდის, ვინ ცივ-ცივ ტილოებს უცვლის ბავშვს.

აფთიაქიდან დაბრუნებულ შოთას მკვდრის ფერი ადევს.

— ბავშვი კარგად არის, რა მოგდის, შენ ალბათ დაიღალე, დაწექი, ცოტა დაისვენე!

უფრო ღრმავდება დარდი შოთას თვალებში. — ომი დაიწყო! — ამბობს იგი მძიმედ.

— რას ამბობ ადამიანო, ავად ხომ არ ხარ?!.

— ომი დაიწყო, გერმანელი ფაშისტები დაგვესხნენ თავს!

ავადმყოფი ბავშვის დარდი გაჰყვა თან, ქვეყნის დასაცავად წასულს.

დარჩა დაუმთავრებელი ნახატი და მაგიდაზე გაშლილი საღებავები, მალე დავბრუნდებით და...

შფოთიანი დღეები სცვლიან უფრო მწუხარე ღამეებს.

„— ლამარა თუ გადარჩა, ჯამბული როგორია მგავს, ქეთინა როგორა ხარ? მტერს ვურტყამთ რაც შეგვიძლია, მალე ყველაფერი ბედნიერად დამთავრდება და..." სამკუთხა ჯარისკაცული ბარათები მოულოდ იტყობინება ომის ამბებს. გრძელი, გულისშემძვრელი პასუხები სცვლიან მათ: „მტერი არ დაინდოთ, თავს გაუფრთხილდით! ბავშვები კარგად არიან, მე არაფერი მიჭირს, ჩვენზე არ იდარდო! მარად შენი ერთგული ქეთინა".

ლამარასა და ჯამბულის ხელის მტევნებისა და პატარა ნაფეხურების ჩანახატები დიდხანს კოცნა შოთამ, მერე ოცნებით ტილოზე გადაიტანა ისინი. მერე ისევ ჩაკეცა და გულჯიბეში შეინახა. თითქოს პატარა მერცხლები აუხმაურდნენ მკერდში, ფრთებს უფათურებენ, ჭიკჭიკებენ, არ აძინებენ.

„— როგორ არის ლამარა, ანთებამ თუ გაუარა, მალე თქვენთან გიქნები!"

წერს მამა, თავგამოდებით ებრძვის მტერს, რომ ჩქარა დაუბრუნდეს შვილებს, მეუღლეს, დედ-მამას, მეგობრებს, საყვარელ საქმეს.

მაგრამ მტერი საშიში და ძლიერი იყო. შეუპოვრად იბრძოდნენ ქართველი ვაჟკაცები კავკასიონის მისადგომებთან. ფაშისტური ურჩხული წელში წყდებოდა და სწორედ მაშინ, შოთა ბახტაძემ ჰკვიანი, თაფლისფერი თვალებით ერთხელ კიდევ მოხატა სამშობლოს უძირო ზეცა, ბაღ-ვენახები, მინდორ-ველები, ზვიადი მთები და საუცხოო კავკასიონის მისადგომებთან დაიღუპა.

ჯარისკაცული საფლავი გაუთხარეს მეგობრებმა და ზედ წარწერაც გაუკეთეს: „მამაცი ქართველი მებრძოლი, მხატვარი შოთა მიხეილის ძე ბახტაძე გმირულად დაეცა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში".

იმ სამხედრო ნაწილის ჯარისკაცებმა და მეთაურებმა, რომელშიც შოთა ბახტაძე იბრძოდა მწუხარებით აუწყებდნენ მის ცოლშვილს, მშობლებსა და ახლობლებს შოთას გმირულად დაღუპვის ამბავს.

მაგრამ მას, ვისაც სიცოცხლე უყვარდა ქვეყნად სამარადისოდ, სიკვდილი ვერას დააკლებს. იგი ცოცხლობს უკვდავი სიცოცხლით!

აი, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" 1935 წლის ივნისის ნომერი, გვერდი 94, ვინმე „ანის" ვრცელი სტატია — „სახვითი ხელოვნების ახალგაზრდა ოსტატთა თაობა". აქ სხვათაშორის წერია: „განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა მხატვარი შოთა ბახტაძე, რომელსაც გამოფენილი აქვს შ. თოიძის „მეჩეთობის" გავლენით, მაგრამ კარგად დაწერილი სურათი „ქართობა (ლხინი) კოლმეურნეობაში".

შოთა ბახტაძის ნახატები შემონახულა საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, თბილისშიც რამდენიმე სურათი ნათესავ-მეგობართა ოჯახებშია დაცული. მის სურათს ნახავთ კიევის ხელოვნების მუზეუმშიც.

შოთა ბახტაძის მასწავლებლები და ამხანაგები, ისინი ვინც ომის ქარიშხალს გადარჩნენ, დღეს სახელოვანი მხატვრები და მოქანდაკენი არიან. შოთაც ხომ მათ რიგებში იქნებოდა რომ მტრის ტყვიას არ ემსხვერპლა.

მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი ზის ქეთინა ბახტაძე...

ხარბად ჩაისუნთქა გაღებული ფანჯრიდან შემოსული გრილი ჰაერი, გულს მოეშვა, თვალთა სიღრმეში იმედის სხივი აენთო, სახეზეც ღიმილმა გადაურბინა.

ლამარას და ჯამბულს მამის მშობლიური სითბო აკლდათ მხოლოდ. სხვა არაფერი. სამაგიეროდ ქეთინას აკლდა ძილი და მოსვენება.

გავიდა დრო, ბავშვები დაიზარდნენ. ბიჭს მამის ნიჭი დაჰყვა...

აი, წუხელაც მთელი ღამე გაათენა — ქალიშვილის პორტრეტს ხატავდა. ხშირად ეკითხებოდა დედას: — კარგია? მოგწონს დედა?..

რაღაც ფიქრმა გაურბინა ქეთინას:—რაო, ჩემი ბიჭი ნახატის შემოწმებას მთხოვდა თუ... ან იქნებ თვითონ ქალიშვილისას? ჰა, შე ეშმაკო შენა, მიგიხვდი?

როშლა განა დრო არ არის? ჯამბული უკვე ვაჟკაცია — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი.

ქალიშვილი ჟურნალისტი მეყოლება, ვაჟი — არქიტექტორი... მერე რძალს მოვიყვან, ლამარას გავათხოვებ, შვილიშვილები დამეხვევიან...

ერთი ჩვეულებრივი დღეც ილევა. დედაშვილი ჩოდრიშვილის ქუჩას მიჰყვება. შუქნიშნები აენთო მთაწმინდაზე აღმართულ სატელევიზიო ანძაზე.

— სულ სხვაგვარია მთაწმინდა მამაშენის სურათში...

— დროც სხვაგვარი იყო მაშინ...

მიდის დედა-შვილი ერთი იმედით, ერთი აზრით, მომავალზე ნათელი ფიქრით — მშვიდობა იქნება ქვეყნად, ბედნიერება, სიხარული...

ლალა გორდაძე



თბილისი, ჩელუსკინელების ქუჩა. ფოტო ნ. მამისაშვილისა.

შევჩენკოს პრემიის ლაურეატები

ამ დღეებში, უკრაინის ტარას შევჩენკოს სახელობის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილებით მოხდა დიდი უკრაინელი კობზარის სახელობის პრემიების მორიგი მინიჭება.

ლიტერატურის დარგში პრემიები მიენიჭათ მიკოლა ბაჟანს — პოემისათვის „გაფრენა ქარიშხალში", ირინა ვილდეს — რომანისათვის „დები რიჩინსკები", ხოლო საკონცერტო ვოკალური მოღვაწეობის დარგში — პავლო ვირსკის — უკრაინის სსრ სახელმწიფო ცეკვის დამსახურებული ანსამბლის პროგრამის შექმნისათვის (1964 წელს).

ფილმი ვ. ი. ლენინზე

დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში დამთავრდა ფილმის „ლენინის სამი გაზაფხული" გადაღება.

დოკუმენტური ფილმის ცენტრალური სტუდია ამზადებს მთელ რიგ სურათებს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით. „ლენინის სამი გაზაფხული" ამ სერიის პირველი ნაწარმოებია.

ახალი ფილმი სამი ნოველისაგან შედგება. მისი სცენარის ავტორი და რეჟისორია ლ. კრისტი, მთავარი ოპერატორი — ო. არცეულოვი.

ცნობები მოსკოვიდან

მხატვრები ემზადებიან დიადი თარიღის შესახვედრად

სსრკ კულტურის სამინისტროში შედგა სახვითი ხელოვნების სამხატვრო საბჭოს პლენარული სხდომა. სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ბ. ვ. იოგანსონის მოხსენება „საბჭოთა სახვითი ხელოვნების შემოქმედებითი გეგმები ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით". სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნების და ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსის გ. ა. ტიომშინის ინფორმაცია — „სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნების სამმართველოს ამოცანები დიდი ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით".

სამხატვრო საბჭოს სხდომაზე ამ საკითხების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს სახვითი ხელოვნების მოსკოველმა და ლენინგრადელმა ცნობილმა ოსტატებმა. სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე საქართველოს სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ. მან ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლის განხორციელებაც ამ დიდ თარიღთან დაკავშირებით განზრახული აქვს საქართველოს კულტურის სამინისტროს და მხატვართა კავშირს. უ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ გაიხსნება დიდი გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი საბჭოთა მხატვრები, დაიდგმება ქართველი ხალხის გმირული შრომის ამსახველი რამდენიმე მონუმენტური სკულპტურული ნაწარმოები.

საკავშირო ეკრანზე

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო ეკრანზე საჩვენებლად მიიღო ახალი ქართული მულტიპლიკაციური ფერადი ფილმი „ნარცისი". სცენარის ავტორები არიან ნ. ბენაშვილი და ვ. ბახტაძე. რეჟისორი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ბახტაძე, ოპერატორი — ს. სპარსიაშვილი, კომპოზიტორი — ნ. ვაჭაძე, მხატვრები — თ. სამსონაძე და ა. ნერსესოვი.

საკავშირო ეკრანზე საჩვენებლად მიიღეს აგრეთვე კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოები „გმირი ერთი საათით". სცენარის ავტორია ვ. ჩხაიძე, რეჟისორი — შ. გედევანიშვილი, ოპერატორი — ლ. კვალიაშვილი. ფილმის მხატვრები არიან ა. შალიკაშვილი და მ. მალაზონია, კომპოზიტორი — მ. დავითაშვილი.

ორივე ფილმი უახლოეს ხანში რუსულად გახმოვანდება.

დიმიტრი არაყიშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო

ქართული მუსიკის დიდი მოამაგე

გრიგოლ ჩხიკვაძე

ქართული მუსიკის ისტორიაში დიმიტრი არაყიშვილის შემოქმედებითი, პუბლიცისტური, პედაგოგიური, კვლევითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ამ სახელოვანი მამულიშვილის ხანგრძლივი და დაძაბული ცხოვრება, რომელიც მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარს მოიცავს, ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ფრიად მნიშვნელოვან პერიოდს ემთხვევა. დ. არაყიშვილის თვალწინ ხდებოდა ერთი მხრივ საუკუნეების მანძილზე ჩრდილმიყენებული და მივიწყების გზაზე დამდგარი ქართული ხალხური შემოქმედების აღორძინება, და მეორე მხრივ ნაციონალურ-პროფესიული მუსიკის ჩასახვა-განვითარება.

ქართული ერის წინაშე არაყიშვილის ღვაწლის განსაკუთრებულობა ის არის, რომ იგი ამ ორი ღირსშესანიშნავი მოვლენის უშუალო მონაწილე, მძლავრი ბიძგის მიმცემი და ხშირად წამყვანი ძალა იყო.

ზაქარია ფალიაშვილთან და მელიტონ ბალანჩივაძესთან ერთად არაყიშვილი ქართული მუსიკალური ხელოვნების ისეთი მოვლენების მესაძირკვლეა, რომელთა ნიადაგზე წარმოიშვა ეროვნული ოპერა და სარომანსო შემოქმედება.

ამ ღვაწლმოსილი კომპოზიტორისა და მეცნიერის სახით ჩვენ გვყავს ქართული მუსიკის ისტორიკოსი, ხალხური სიმღერის დაუღალავი მკვლევარი. ამასთანავე, დ. არაყიშვილი ქართული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი და, როგორც საქართველოში, აგრეთვე, წლების მანძილზე, რუსეთშიც სამუსიკო განათლების მესვეურია.

24 წლის ასაკში დ. არაყიშვილმა, ჯერ კიდევ მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო-დრამატული სასწავლებლის მოწაფემ, მტკიცედ შედგა ფეხი მუსიკის სამყაროში და მისი კალამი პირველად ქართულ ხალხურ მუსიკას შეეხო, რომლის შესწავლა-დამუშავებასა და პროპაგანდას უანგაროდ ემსახურებოდა.

დ. არაყიშვილის შემკრებლობითი მუშაობით, რომელიც 1901 წლიდან დაიწყო, ქართულ ფოლკლორისტიკაში ახალი ხანა იწყება — ხალხური სიმღერა მეცნიერული კვლევის საგანი ხდება, დიდი გაქანება ეძლევა და მარტო ქართველებისა კი არა, სხვა ხალხების ყურადღებასაც იმსახურებს. შეიძლება ითქვას, რომ ამიერიდან იწყება ქართული ხალხური შემოქმედების საყოველთაო აღიარება.

დ. არაყიშვილი გულმოდგინედ, დაუღალავად ეძებდა და ნახულობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სათუთად შენახულ ძვირფას საუნჯეს — ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს. თავისი მხატვრული ღირსებებით, მრავალფეროვნებით და ჩაწერის სიზუსტით მის მიერ მოპოვებული მუსიკალური მასალა საგრძნობლად გამოირჩევა ადრე შეკრებილი სიმღერებისაგან. დ. არაყიშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება, ჩაწერა და გამოაქვეყნა [illegible] და [illegible] შრომის, საწესო-საკულტო თუ საფერხულო-სათამაშო სიმღერები — ურმული, ოროველა, მუშ ჰეი-ოდა, ქორი, ოჩუნა, მთიბლური, ჯვარი წინასა, ნანადუ, სათამაშო და სხვა, რომელთა არსებობა მანამდე ფრიად შეზღუდული იყო, სოფლის ფარგლებს არა სცილდებოდა და ფართო საზოგადოებრიობას მათზე წარმოდგენაც არა ჰქონდა.

დ. არაყიშვილის დამსახურებაა ქალთა სასიმღერო რეპერტუარის გამოვლინებაც. მათგან აღსანიშნავია „დიდება", „მზე შინა და მზე გარეთა", „იავ-ნანას" უცნობი ვარიანტები, „ბერიკების ტირილი", ნანების საუკეთესო ნიმუშები, „დათის ფერხული", მიცვალებულის „ზარით" დატირება. ყურადღებას იქცევს აგრეთვე გურული და მეგრული სამინდვრო სიმღერები, მხოლოდ მისი ჩანაწერებით რომ ვიცნობთ და ამ მხრივ იშვიათ მასალას წარმოადგენენ, როგორიცაა გურული „მიწურ-მიწურა ქალვაჟისა", „მზის სხივები აკოცებენ", „მჭედელი", „ნეტამცა მომკლაცა", მეგრული „ვარანანი", „ვაი ლირინთი", „ორიდუა", „დიდი ოცდილარი მაშე" და სხვა, რომლებიც ქართული [illegible] კლასიკაში ადგილს იკავებენ.

მაგრამ საინტერესო მკვლევარის ჩანაწერების ძირითადი ნაწილი [illegible], რომელიც მდიდარი ქართული ხალხური საგუნდო კულტურის, მისი მაღალმხატვრული ღირსებებისა და შესრულების ტრადიციების დამადასტურებელია. აქ თავმოყრილია ერთიმეორეზე უკეთესი და საინტერესო ქართლური, კახური, იმერული, გურული, რაჭული, მეგრული სიმღერები, ასევე არაყიშვილის მიერ პირველად ჩაწერილი, მათ შორის „ძველი კახური მრავალჟამიერ", „სუფრული", „ჭონა", „ალილო", „ინდი-მინდი", „ხასან-ბეგურა", „მაყრული", „ვადილა" და ხალხური შემოქმედების კლასიკურ ნიმუშებად მიჩნეული სხვა მრავალი სიმღერა.

დ. არაყიშვილის ინიციატივას მიეწერება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სასიმღერო შემოქმედების დამახასიათებელი ნიმუშების ჩაწერა-შესწავლა და გამოცემა. აქაც პიონერად კვლავ არაყიშვილი გვევლინება. 1902 წელს იგი ეწვია მთის მკვიდრთ — ხევსურებს, ფშაველებს, მოხევეებს, მთიულებს და, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, მეტად თავისებური მასალა შეკრიბა, რამაც გამოარკვია, რომ მთაში შემორჩენილია ქართული ხალხური მუსიკალური მეტყველების უძველესი, პირველყოფილი ძეგლები, სასიმღერო მრავალხმიანობის არქაული ფორმები. ამან თავის მხრივ ახალი, უცნობი მასალით გაამდიდრა ქართული მუსიკალური ფოლკლორი და საგრძნობლად გააფართოვა მისი საზღვრები, რაც დ. არაყიშვილის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

მთელი ეს [illegible] მუსიკალური მასალა, რომელიც 500-მდე ნიმუშს შეიცავს, დ. არაყიშვილმა შესწავლილი რაიონების მიხედვით დაალაგა, ზოგი მათგანი ფორტეპიანოს თანხლებით დაამუშავა, კრებულების სახით გამოსცა და მომავალ თაობას ღირსსახსოვრად დაუტოვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დ. არაყიშვილის საველე-საექსპედიციო მუშაობა შემკრებლობითი ინტერესების ვიწრო ჩარჩოში როდი იფარგლებოდა. ხალხურ მუსიკას, მხოლოდ როგორც კომპოზიტორი როდი [illegible], მოპოვებული მასალა მან იხილა აგრეთვე როგორც მკვლევარმა, რომლის მიზანიც ხალხური სიმღერის მრავალმხრივი შესწავლა შეადგენდა. ამიტომ ადგილობრივ აკვირდებოდა მოსმენილი სიმღერის [illegible], არქიტექტონიკას, რიტმ-ინტონაციას, მის სოციალურ ფუნქციას, გავრცელების არეს და სხვა დამახასიათებელ თვისებებს.

ფოლკლორული მუსიკისადმი ასეთი გულდასმით მიდგომა შესანიშნავი მასალით ამარაგებდა მომავალ მეცნიერს კვლევითი მუშაობისათვის. მეორე მხრივ ხალხთან [illegible] გაცნობამ, ბუნებასთან დაახლოებამ, [illegible] შემოქმედების ნიმუშებთან შეხებამ დ. არაყიშვილს გადაუშალა ქართული მუსიკის მომხიბლავი სურათი, აგრძნობინა ხალხური სიმღერის სურნელება და მის შემოქმედებით ფანტაზიას ფართო გზა გაუხსნა.

ქართული მუსიკის ისტორიაში ეს პირველი ცდებია ხალხური სიმღერის მელოდიკის, ჰარმონიული ენის, ხასიათის, ფორმის და მუსიკალური გამომსახველობის სხვა საშუალებათა მეცნიერული შესწავლისა. მაგრამ ამ გამოკვლევებში მნიშვნელოვანია ის, რომ მუსიკალური მასალის განხილვას მშრალი თეორიული ანალიზი როდი ახასიათებს. მკითხველს ავტორი აცნობს ქართველი ერის ისტორიას, ეთნოგრაფიას, პოეტურ ფოლკლორს, დაკავშირებულს ხალხურ მუსიკასთან, რაც ნათელ წარმოდგენას იძლევა ქართველი ხალხის მაღალ სულიერ კულტურაზე.

დაკვირვებებისა და საფუძვლიანი შესწავლის შედეგად დ. არაყიშვილმა ძვირფასი ნაშრომები დაგვიტოვა, რომელთაგან აღსანიშნავია „ქართული ხალხური სიმღერა და ქართული კულტურა", „ქართლ-კახური ხალხური სიმღერის განვითარება", „აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ხალხური სიმღერა", „დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერა", „რამდენიმე შენიშვნა რაჭული სიმღერების შესახებ" და სხვ.

ეს უზარმაზარი მასშტაბის საქმიანობა დ. არაყიშვილმა [illegible] ნაშრომები დღესაც და მომავალშიც დიდ დახმარებას გაუწევენ მუსიკის მკვლევარებს და კომპოზიტორებს.

კომპოზიციაში მუშაობა დ. არაყიშვილმა ადრევე დაიწყო. მისი შემოქმედებითი გზის პირველი ნაბიჯები მოსკოვში გადაიდგა, სადაც კომპოზიტორმა შექმნა საუკეთესო ნაწარმოებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სარომანსო შემოქმედება და ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე" (შემდეგ „შოთა რუსთაველი"), რომელზედაც დ. არაყიშვილი 1908-1914 წლებში მუშაობდა. ოპერის ცალკეული ნაწყვეტები, აგრეთვე სიმფონიური სურათი „ჰიმნი ორმუზდს" და [illegible] სიმფონიური ორკესტრისათვის [illegible] დირიჟორობით დიდი წარმატებით სრულდებოდა მოსკოვში, პავლოვსკსა და თბილისში სიმფონიურ კონცერტზე, რამაც კომპოზიტორს დიდად გაუთქვა სახელი.

თავისი ოპერით დიმიტრი არაყიშვილმა პირველმა შეაღო თბილისის ოპერის თეატრის კარი. ამ თეატრის სცენაზე 1919 წელს 5 თებერვალს პირველად დაიდგა ქართული, ეროვნული ოპერა, მის ცენტრში პირველად დაირხა მშობლიური ჰანგები, რამაც ქართველ ხალხს გული სიამით აუვსო და ბედნიერი მომავლის იმედი დაუსახა. ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორი „ფუძემდებლური" გამოდგა. ამავე თეატრში, ამავე წელს წარმოდგენილ იქნა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი" და ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე", ხოლო მომდევნოდ ამას მოჰყვა კვლავ ფალიაშვილის „დაისი" და მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი", რამაც მძლავრი ბიძგი მისცა საოპერო შემოქმედების შემდგომ განვითარებას საქართველოში.

ქართულ სიმღერაზე და განსაკუთრებით ქალაქურ სასიმღერო შემოქმედებაზე აღზრდილმა არაყიშვილის ოპერის მუსიკამ, რომელიც გამოირჩევა მელოდიურობით, ლირიზმით, გულწრფელობით და დახვეწილი მხატვრული გამოთქმით, განაპირობა მისი წარმატება.

სუსტი ლიბრეტოს გამო „თქმულება შოთა რუსთაველზე" სცენას ვერ შერჩა, მაგრამ მისი ცალკეული ნაწყვეტები — თამარის კავატინა, შოთას არია, მგოსნის სიმღერა, აბდულ არაბისა და რუსუდანის დუეტი, ბალეტის სცენა, ქალთა გუნდი და უვერტიურა ამჟღავნებენ ავტორის მაღალპრო[illegible]რებას, მუსიკალური ენის დახვეწილობას, საკუთარ ხელწერას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დ. არაყიშვილის საუკეთესო ვოკალურ-კამერული შემოქმედება, რითაც მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ქართულ კლასიკურ რომანსს. [illegible] სიმღერა-რომანსებით გადადგა კომპოზიტორმა პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები, რასაც წინ უსწრებდა ხალხური სიმღერების დამუშავება.

დ. არაყიშვილის რომანსებს დიდი [illegible] მელოდიის თავისუფალი დინებით, ღრმა ემოციურობით, ფორმის სისადავით, გამჭვირვალე ჰარმონიული ენით და რიტმული საფუძვლის სისადავით ფართოდ გავრცელდა და განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართულ კამერულ-ვოკალურ მუსიკაში. მისი სიმღერებისა და რომანსების რაოდენობა 70-ს აღემატება, რომელთაგან დიდი მხატვრული ძალით, გამჭვირვალე მუსიკალური ენით, შინაარსის სიღრმით გამოირჩევიან „წყნარ ვარსკვლავიან ღამეს", „მეზღვაური", „ვარსკვლავთა სამეფო", „შემოდგომა", „მე შენ გელი", „წყარო და ყვავილები", „იფქლის მთებზე" და სხვ.

მის სარომანსო შემოქმედებაზე აღიზარდა და აღიზრდება ქართველი მომღერლების მრავალი თაობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დ. არაყიშვილს ფართო შემოქმედებითი პერსპექტივები დაუსახა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც დ. არაყიშვილმა 1921 წ. განახორციელა, მეორე კონსერვატორიის დაარსება იყო, რომლის მიზანიც ფართო მასებში სამუსიკო განათლების გავრცელება წარმოადგენდა. 1926-1929 წლებში დ. არაყიშვილი გაერთიანებული კონსერვატორიის დირექტორია. იგი მტკიცედ მონაწილეობას იღებს აგრეთვე საქ. საბჭ. კომპოზიტორთა კავშირის ორგანიზაციაში, რომლის პირველ თავმჯდომარედაც შემდეგ ირჩევენ. დიდ ენთუზიაზმს იჩენს აგრეთვე მუსიკალური შემოქმედების სფეროში და ქმნის დიდი და მცირე ფორმის ნაწარმოებებს: კომიკურ ოპერას „სიცოცხლე სიხარულია" („დინარა"), სამ სიმფონიას, რომელთაგან პირველი სიმფონია (1933) პირველი ქართული ნაწარმოებია ამ ჟანრში. მეორე სიმფონია მიეძღვნა სამამულო ომს, ხოლო საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისადმი მიძღვნილი მესამე სიმფონია შთაგონებულია პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ლექსით „სამშობლო და გამარჯვება" და დაწერილია ორკესტრისა და გუნდისათვის.

ამავე პერიოდს ეკუთვნის სიუიტა „შოთა რუსთაველი", სიმფონიური სურათი „ახალი აღმოსავლეთის ჰიმნი", „კანტატა" და მთელი რიგი საგუნდო და სარომანსო ნაწარმოებები.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე მისი კალმით მუშაობის შედეგად დაწერილი ნაწარმოებები „რაჭული ხალხური სიმღერა", „სვანური ხალხური სიმღერა", „აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების მიმოხილვა" და აგრეთვე მთელი რიგი მოხსენებები ქართული მუსიკის მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც წაკითხულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში და ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

1945 წელს დ. არაყიშვილი საქ. მეც. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად იქნა მიწვეული, ხოლო 1950 წელს აირჩიეს აკადემიკოსად.

ასეთი შინაარსიანი და ნაყოფიერი იყო დ. არაყიშვილის მოღვაწეობა. ბუნებრივია ამ კეთილშობილ მამულიშვილს მუდამ ახასიათებდა დაუღალავი ენერგია, რასაც მოწმობს თუნდაც ის, რომ მან ოთხმოც წელს მიღწეულმა 1952 წ. ექსპედიცია ჩაატარა აჭარაში, საიდანაც ახალი შთაბეჭდილებებით დაბრუნებული, კვლავ ახალ [illegible] ოცნებობდა. მაგრამ ეს ექსპედიცია უკანასკნელი გამოდგა. დ. არაყიშვილი 1953 წ. 13 აგვისტოს გარდაიცვალა და დატოვა ხსოვნა გამოჩენილი კომპოზიტორისა, მეცნიერისა და დიდი მუსიკოს-განმანათლებლისა, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართველი ხალხის სამუსიკო-საზოგადოებრივი ცხოვრების მძლავრ განვითარებაში.

სურათზე: (ზემოთ) დიმიტრი არაყიშვილი. (ქვემოთ) დიმიტრი არაყიშვილი, ვასო აბაშიძე და ნიკო გოცირიძე. 1928 წ.

დიდი წინაპარი

დიმიტრი არაყიშვილი ქართული პროფესიული მუსიკის ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელთანაც თავს იყრის ჩვენი ეროვნული მუსიკის განვითარების გზები. ზაქარია ფალიაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე და დიმიტრი არაყიშვილი! ამ სამი დიდი შემოქმედის სახელთან დაკავშირებულია ქართული მუსიკის პროფესიული [illegible]. იგი ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში, მიუხედავად დიდი სირთულისა, ეწეოდა ქართული მუსიკის მეცნიერულ შესწავლას და დამუშავებას, რითაც დაუფასებელი ამაგი დასდო შთამომავლობას.

ქართველ კომპოზიტორებს დ. არაყიშვილი თავიანთ დიდ მასწავლებლად მიაჩნიათ. მთელი ჩვენი მუსიკალური საზოგადოება მუხლს იყრის მის წინაშე, როგორც ჩინებული შემოქმედის, მკვლევარის, პედაგოგის და ადამიანის წინაშე. მისი ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე" და ბევრი რომანსი სავსებით სამართლიანად შეიყვარა ხალხმა. ეს ნაწარმოებები ჩვენი მუსიკალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მისი მომხიბლავი და უაღრესად მელოდიური ჰანგები მუდამ თან გვდევს, როგორც უკვდავი, მარადი სიცოცხლისა და შემოქმედებითი სიხარულის მომნიჭებელი.

ალექსი მაჭავარიანი.
სსრკ სახალხო არტისტი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე.

ნანა ღვინეფაძე

მარტი

ფიქრებივით გაფანტული
არაგვი,
მყუდრო გალავანი,
ჩემი — ანანური,
ჩემი სანანური,
უძლო ფალავანი,
სამრეკლოდან დაჭერილი
სხივები,
თბილისისკენ გაქცეული
შარაგზა,
მერე, უცბად პირნაცვალი
ამინდი,
ჭიშკარი რომ ჩარაზა.
აგერ ახლოს მობჯენილი
მყინვარი,
განშორება სანანური.
თითქოს განგებ შემობრუნდა
ზამთარი,
ჩამოზიდა თითქოს მთელი
წელიწადი,
და ის დარჩა მიღმა,
როგორც შორი ანანური...

გამახსენებს ბეთანიას...

მთებზე ბინდის ჩამოწოლა
გამახსენებს ბეთანიას,
შორს სიმღერებს,
დარდით ნაქსოვს,
ოპიზარის [illegible]
ჯვარს და ფიქრებს...
ოქროს ჯვარი,
თამარ მეფის
გულისძგერა ხომ არ გახსოვს?!

ლელვა

მომჩვენებიხარ თვალანთებული,
წამომეგებება სალამი
და ქარი უკრავს ჩემს საყურეზე
რაღაც უცხოს და საამოს.
თუ ზარი რეკავს სადმე
მთის წვერზე.
დარდისკენ რეკავს...
მე კი შენ გიგდებ ყურს და
საყურე ღელავს...

მარიკა ბარათაშვილი

„წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალ ქარს"

[illegible]

მე შენს ნაკვალევს დავალ, დავეძებ...
რითით შევაღე ყველგან კარები.
რომელ კუთხეში, რომელ სკამელზე
იჯექ და სალამს ქარს აბარებდი?

იქნება ცრემლიც აგორდა თვალზე...
მე ეს არ ვიცი, არა, არ ვიცი!
ვიცი, გესმოდა გრძნობებით სავსე
შენი წყალტუბო და ქუთაისი.

ამ გზებს სხვა ჰანგიც შემორჩა იქნებ?
და მინდა, მინდა ქარს დავავალო:
„მომიტანე მისი მაღალი ფიქრი
და ჩამჩურჩულე, წყალტუბოს ქარო!"

თვალს ვერ ვაცილებ გარინდულ ქუჩებს,
დავალ, სკამელებს თვალს ვერ ვაცილებ!..
იქნება სადმე წავაწყდე უცებ,
აქ დატოვებულ შენს სიყმაწვილეს?

მომნატრებია ღმერთების ღირსი
ჰანგი... ვარდებით გული აივსო...
მასმინე კიდევ სიმღერა მისი
ო, ქუთაისო, ო, ქუთაისო!

წყალტუბო.

ჩემი მასწავლებელი და მეგობარი

დიმიტრი არაყიშვილმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. მე იგი გავიცანი 1924 წელს კონსერვატორიაში, სადაც პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა. მომდევნო წელი ერთად გავატარეთ ბორჯომში. აქ ქართული საოპერო სტუდია ხანგრძლივად იმყოფებოდა და მომავალი სეზონისათვის ემზადებოდა. დ. არაყიშვილი იყო განსაკუთრებული ალღოს ადამიანი, იგი სტუდენტებს სიყვარულით ექცეოდა, ამხნევებდა და შემოქმედებითი ძიების სტიმულს აძლევდა.

ჩემს რეპერტუარშია დ. არაყიშვილის რომანსები. მათი შესრულება მე ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებდა ხოლმე. მაგონდება, როგორ ვამზადებდი რომანსებს — „ღამეა ბნელი" და „ვარსკვლავთა სამეფოს მოდი". ძალიან ბევრი კეთილი რჩევა მომცა მაშინ კომპოზიტორმა.

1930 წელს ა. წუწუნავას რეჟისორობით განახლებული დადგმით წარმოადგინეს დ. არაყიშვილის შესანიშნავი ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე". ამ ოპერაში მე წილად მხვდა შოთას პარტიის შესრულება. მიუხედავად იმ სირთულისა, რაც ამ სახის დაძლევაში წინ გადამეღობა, მე მაინც სიამოვნებით ვიგონებ მასზე გაწეულ შრომას. რადგან „თქმულება შოთა რუსთაველზე" ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოებია, იგი დიდი საგანძურია მთელი ჩვენი ეროვნული მუსიკისა. ამიტომ მე მწამს, რომ ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე კვლავ ვიხილავ ჩემი მასწავლებლისა და მეგობრის ამ დიდებულ ოპერას.

დავით ანდღულაძე.
პროფესორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

წერილები თეატრზე

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ქართული თეატრის ისტორია ჯერ არ დაწერილა. მაგრამ ქართულ თეატრზე დღემდე შექმნილი და გამოქვეყნებული წიგნები საგრძნობლად გაადვილებს იმ შრომას, რომელსაც ალბათ უახლოეს დროში ქართველი თეატრმცოდნეები გასწევენ ქართული თეატრის ისტორიის შესაქმნელად.

ამ წიგნებს ახლახანს შეემატა გ. ბუხნიკაშვილის „წერილები თეატრზე"*. წიგნში შესული მრავალმხრივ და გულდასმით დამუშავებული მასალები ცხადად შეავსებს თეატრის ისტორიას.

პირველ წერილში თავმოყრილია მასალები, რომლებშიც ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებული ცერემონიალია აღწერილი, როგორც თბილისის, ისე რაიონების და სახალხო თეატრების სცენებზე. აქვე ვეცნობით სხვადასხვა წლებში დრამატული საზოგადოების მოღვაწეობის ძირითად მომენტებს, რასაც ახლავს იმდროინდელი პრესის ფურცლებიდან ამოკრეფილი საყურადღებო ამონაწერები.

დრამატული საზოგადოების ორგანულ არც ერთად თავმოყრილი ცნობები არსად მოგვეპოვება და ვინაიდან დრამატული საზოგადოების ყოველი ნაბიჯი თუ მიღწევა ადეკვატურ ასახვას პოულობდა ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში, ამდენად ამ წერილს დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრის ისტორიკოსებისათვის.

საინტერესო წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცნობებს ჩვენი გამოჩენილი რეჟისორის კ. მარჯანიშვილის სასცენო მოღვაწეობის პირველ ნაბიჯებზე. ეს პერიოდი იმითაც არის საინტერესო, რომ იგი ნაკლებად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. მკვლევარი აქვე აყენებს ერთ ფრიად საჭირო და მტკივნეულ საკითხს: თეატრმცოდნეების მიერ რომელიმე საკითხის გამოკვლევისას კრიტიკულად იქნეს გამოყენებული მემუარული ლიტერატურა, როგორიც ავტორიტეტული პირის მიერაც არ უნდა იყოს იგი დაწერილი, თუ სათანადო საბუთებით არ იქნება დადასტურებული ესა თუ ის ფაქტი. ამით თავიდან იქნება აცილებული უხეში შეცდომები და ლაფსუსები.

კ. მარჯანიშვილის მოგონებებში არის რამდენიმე ფაქტობრივი უზუსტობა, რომელსაც თეატრმცოდნეები შეუმოწმებლად იყენებენ, — ამბობს გ. ბუხნიკაშვილი. სამართლიანია საინტერესო წიგნის ავტორის საყვედური ზოგიერთი თეატრმცოდნის მიმართ, რომელთა დაუკვირვებლობის გამოც პრესის თუ წიგნის ფურცლებზე ხშირად ვხვდებით უხეშ ფაქტობრივ შეცდომებს, ან რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენის უგულებელყოფის შემთხვევებს.

მომდევნო თავში საინტერესოდ არის გაშუქებული ქართული საბჭოთა თეატრის პირველი პერიოდის ზოგიერთი საკითხი. ავტორი სამართლიანად იქცევა, ქართული საბჭოთა თეატრის დაწყების პერიოდად [illegible] არა, სპექტაკლ „ცხვრის წყაროს" წარმოდგენას რომ მიიჩნევს, რასაც ნამდვილი ეპოქების ღრმა ცოდნით და ფაქტების თანმიმდევრული ანალიზით ასაბუთებს.

ამავე თავში განხილულია საკითხები, თუ რა [illegible] თეატრები, როდის შეიქმნა სახელოვნო კომიტეტი და „რაბისი", რა ფუნქცია ჰქონდათ მათ დაკისრებული, რომელ განყოფილებასთან არსებობდა „ტეო" (თეატრალური საზოგადოება), შემდეგ რა ცვლილებები განიცადა მან, ახალმა მდგომარეობამ როგორ წარმოშვა სხვადასხვა თეატრები და რა როლი შეასრულეს ამ თეატრებმა ხალხის ესთეტიკური აღზრდის საქმეში. კარგად აქვს ავტორს გაშუქებული პირველი საბჭოთა რევოლუციური თეატრის წარმოშობის მომენტები.

სხვა თავების განხილვას ჩვენ აქ აღარ შევუდგებით. აქ გვინდა რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვათ დრამატული საზოგადოების იმ შეფასების მიმართ, რომელსაც ავტორი გვთავაზობს. გ. ბუხნიკაშვილი წერს: „დრამატული საზოგადოება სათეატრო საქმეს ღალატობდა და ამიტომ ის თეატრის მზრუნველის ხაზით კი არა, უფრო [illegible] საქველმოქმედო ხაზით უნდა შევიდეს ქართული თეატრის ისტორიაში" (გვ. 10). ავტორი ამ საზოგადოებას [illegible] კონსერვატორულადაც იწოდებს.

დრამატული საზოგადოების მოღვაწეობა ჯერ კიდევ შეუსწავლელია თეატრის მიღწევებითა თუ ნაკლოვანებებით.

1874 წელს ქართული თეატრის შენობის დაწვასთან ერთად [illegible] დრამატული საზოგადოების [illegible]. მან გააჩინა „საზოგადოების" მოღვაწეობის [illegible] შესწავლა, მაგრამ, რაც დღემდე [illegible] „პრესაში" გამოქვეყნებული ცნობები, „საზოგადოების" ობიექტური შესწავლის საშუალებას იძლევა.

დრამატული საზოგადოების დაარსებამ ხელი შეუწყო ქართული თეატრის განვითარებას, მისი ეროვნული დემოკრატიული სულის გაძლიერებას, თუმცა მისი მოღვაწეობა ყოველთვის თანმიმდევრული არ იყო. ქართული თეატრის სცენაზე ხშირად საპირისპირო შინაარსის პიესებიც იდგმებოდა. მაგრამ ეს იმის საბაბს არ იძლევა, რომ დრამატული საზოგადოება ხელაღებით კონსერვატორულად ჩავთვალოთ. იგი თავისი საერთო მიმართულებით ბევრ კარგსა და სასარგებლო საქმეს აკეთებდა. წარსულის ღრმა და კრიტიკული შესწავლისათვის საჭიროა ავიც და კარგიც ობიექტურად შევაფასოთ, დრამატული საზოგადოების მოღვაწეობა ერთსახოვნად არ წარმოვიდგინოთ და მკაფიოდ განვასხვავოთ მისი ცალკეული პერიოდები, შემთხვევითი გამოვარჩიოთ არსებითისაგან.

მაყვალა გაჩეჩილაძე

---

* გ. ბუხნიკაშვილი, „წერილები თეატრზე", გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება", 1964 წ.

„იაკუბ ხანი"

1962 წელს უნგრეთის გამომცემლობამ „მორა ფერენცმა" გამოაქვეყნა ლაიოშ ტარდის ისტორიული რომანი „იაკუბ ხანი".

„იაკუბ ხანში" საინტერესოდ არის გადმოცემული ერეკლე მეფის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება.

ვბეჭდავთ „იაკუბ ხანის" ნაწყვეტს. რომანი უნგრულიდან თარგმნეს მედეა მეზაშვილმა და იუდიტ კაპოშმა.

ოცდამეცამეტე თავი

თავით ფეხამდე შეიარაღებულმა ქართველმა მხედრებმა ელჩი ფრთხილად ჩამოხსნეს ტახტზე შემოკრული საბელები. მხედრებს მკაცრი გამომეტყველება ჰქონდათ. ბევრ მათგანს კი სახეზე ღრმა ჭრილობების კვალი აჩნდა. მათ ფრთხილად აიყვანეს ელჩი და რბილი ბალიშებით [illegible] ტახტზე დააწვინეს.

თვითონ აბაშილს სახე ისე ჰქონდა შეხვეული, რომ მხოლოდ დახუჭული ქუთუთოები და გაფითრებული, მაგრად მოკუმული ტუჩები ჩანდა. ავადმყოფი მძიმედ სუნთქავდა, დროდადრო ხმამაღლა კვნესოდა.

რეინეკე მიხვდა, რომ დაყოვნება არ შეიძლებოდა. ელჩს ყოველ წუთში სიცოცხლე ემუქრებოდა. მან მჭრელი დანით ავადმყოფს ტანზე შემორჩენილი [illegible] ტანსაცმლის ნაფლეთები შემოახია, მოკუმული ტუჩები გაუხსნა და პირში მაგარი სასმელი ფრთხილად ჩააწვეთა, მერე კი დაჭრილის კიდურებს ღონივრად, თანაც ფრთხილად დაუწყო ზელა.

იგი ხელს უფრო და უფრო სწრაფად უსვამდა, რომ დაჭრილის ძარღვებში სისხლი აემოძრავებინა.

მადლობა ღმერთს! ავადმყოფი შედარებით მშვიდად სუნთქავდა, მაჯაც უკვე თანაბრად უცემდა. მიწყნარებულ და [illegible] კიდურებს სიცოცხლე ნელნელა უბრუნდებოდა.

რეინეკე ახლა იარებს მიუბრუნდა. ელჩის სხეული ღრმა ჭრილობებს დაეფარა. გამოცდილი ექიმი ჭრილობებს [illegible] ათვალიერებდა. ტყვიას მკერდის არეში, ნეკნებშუა გაევლო, მარჯვენა ბარძაყი ორ ადგილას გაეგლიჯა. მარჯვენა ხელისა და მარცხენა მხარის ღრმა ჭრილობებიდან სისხლი მოჩქეფდა.

საოცარი იყო, რომ მოხუცი კიდევ ცოცხლობდა! სისხლის დენასა და [illegible] ორგანიზმი მოეწამლა და ელჩი [illegible] დებოდა. მოხუცს ეტყობოდა მაგარი და ჯანმრთელი კაცი იყო.

რეინეკემ ჭრილობები ერთი მეორის მიყოლებით გაწმინდა, გაასუფთავა და ქირურგიული მაკრატლით ხორცის ნაფლეთები მოაჭრა.

თურქი ასლან-აღა ამ ქვეყნად ყველაზე [illegible] გულგრილი და უდარდელი კაცი იყო. მას საერთოდ თავისი ცოლის, [illegible] ავადმყოფობის [illegible] არაფერი ადარდებდა. ახლა კი რეინეკეს ყოველ მოძრაობას სუნთქვაშეკრული უყურებდა. [illegible] სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ ავადმყოფის სუნთქვა და რეინეკეს ქირურგიული მაკრატლის ხმა არღვევდა.

ავადმყოფი თანდათან მოეგო. ერთ-ერთ ჭრილობაზე შეხებისას ელჩმა ისეთი [illegible] ტკივილი იგრძნო, რომ [illegible] თვალის კაკლები კინაღამ ბუდიდან ამოუცვივდა. კბილები არ დასცდენია, მაგრამ გაშეშებულმა ტუჩები ისე მაგრად მოკუმა, რომ სისხლმა ჟონა.

რეინეკეს წუთითაც არ შეუსვენია. ბოლოს, როგორც იყო, ექიმმა დაამთავრა თავისი საქმე. ახლა ყველაფერი ავადმყოფის ორგანიზმზე იყო დამოკიდებული. მხოლოდ [illegible] მაგარ სხეულს შეეძლო ასეთი საშინელი ტკივილებისა და ამდენი სისხლის დაკარგვის გადატანა.

რეინეკემ [illegible] ჩანთიდან თავისი უძვირფასესი განძი, სპილოს ძვლის პატარა კოლოფი ამოიღო. ამ კოლოფში ექიმს ტკივილის დამაამებელი და იარის გამაწმენდი [illegible] ბალზამი ჰქონდა შემონახული. თავისი ნაზი, გრძელი თითებით ბალზამი ჭრილობებზე ფრთხილად წაუსვა ავადმყოფს. აბაშილს გაწამებული სახე დაუმშვიდდა. მონაცრისფრო თვალები მკურნალს მადლიერების გრძნობით მიაპყრო. ტუჩებს [illegible] ამოძრავებდა, პირი გააღო, მაგრამ რეინეკემ ხელით ანიშნა — გაჩუმდით.

მძიმე ავადმყოფმა მალე ისევ დაკარგა გრძნობა. თუმცა მშვიდი, თანაბარი სუნთქვა იმას მოწმობდა, რომ სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე მყოფ აბაშილს სასიცოცხლო [illegible] უფრო უჩანდა.

* * *

ექიმის ყურადღება და [illegible] სიყვარული, საოცარი, სასწაულებრივი ძალით მოქმედებდა. ავადმყოფი, რომლის გადარჩენა რეინეკესაც კი არ სჯეროდა, ორი დღის შემდეგ საბოლოოდ მოვიდა გონს. მან მოსუსტებული, მაგრამ გასაგონი ხმით წყალი მოითხოვა.

ამის შემდეგ ავადმყოფი ისეთ ღრმა ძილს მიეცა, რომ კაცი იფიქრებდა გრძნობა დაკარგაო. თვალდახუჭული [illegible] სუნთქავდა და მაჯაც თანაბრად უცემდა. რეინეკე ამ ღამესაც არ მოსცილებია ავადმყოფის სასთუმალს, თუმცა ახლა, მრავალი ღამის უძილობით ქანცმილეულს, [illegible] დასაძინებლად.

მეორე დღეს სომეხი მღვდლისაგან [illegible], არარატული ღვინო მოატანინა. ერთი ჭიქა აბაშილის [illegible] გადასხა. ავადმყოფს ყოველ საათში თითო ყლუპი [illegible]. აბაშილი [illegible] ღვინო სულმოუთქმელად გადაკრა.

რეინეკემ თავი გააქნია. მალე მიხვდა, რომ ღვინომ არ ავნო. პირიქით, [illegible]

რამდენიმე დღის შემდეგ რეინეკემ ავადმყოფს [illegible] დაჯდომის ნებაც მისცა. [illegible] მხარს დაყრდნობილმა მოხუცმა [illegible] ნაბიჯებით გაიარა მანძილი [illegible].

იმ დღეებში რეინეკე, თავის [illegible] ავადმყოფთან ცოტა არ იყოს [illegible].

მოხუცი ელჩის [illegible] რეინეკემ ისევ დაიწყო თავის ავადმყოფთან [illegible]. მოხუცი [illegible] თურქულ ყალიონს წევდა და [illegible] კვამლის თეთრ ბოლქვებს უშვებდა.

ყოველი დღე მათ უფრო აახლოებდა. ერთმანეთს სპარსულად ესაუბრებოდნენ, აბაშილი ექიმს უამბობდა, რომ საქართველოში მეფის კარზე სპარსულს ისე ლაპარაკობენ, როგორც ქართულს. [illegible] თუმცა სხვა ქართველებთან ერთად ისიც ამ ქვეყანას [illegible] გზას უკვლევდა, რომელიც [illegible] საქართველოზე გაბატონებას ცდილობდა. სპარსეთის ლიტერატურაზე, ხელოვნებასა და ფილოსოფიაზე კი მაინც დიდი მოწიწებით ლაპარაკობდა.

აბაშილს ძალზე აინტერესებდა ექიმის თავგადასავალი. ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა. სამაგიეროდ თვითონ თავისი ხალხის წარსულსა და აწმყოზე ესაუბრებოდა. ამ საუბრების შემდეგ ექიმს თვალწინ [illegible], მაგრამ საოცრად მომხიბვლელი და წარმტაცი სურათი გადაეშალა.

საინტერესო ხალხია ქართველები, [illegible] ევროპაში ერთმანეთს იმიტომ ხოცავენ, რომ ერთნი — კათოლიკენი არიან, მეორენი — პროტესტანტები, მესამენი — მუსულმანები. აქ კი იმიტომ, რომ ერთი — ესპანელია, მეორე — ავსტრიელი, მესამე — თურქი. ხედავთ, ჩვენთან როგორ მშვიდობიანად არიან ერთმანეთში ქრისტიანები, შიიტები, სუნიტები, ცეცხლთაყვანისმცემლები და სხვა სარწმუნოების ხალხები!

— მართლაც რომ ბედნიერი ქვეყანაა! — ჩაფიქრდა რეინეკე. — ალბათ, ამიტომაც უძლებენ საუკუნეების მანძილზე თურქებისა და სპარსელების შემოსევებს.

აბაშილმა მწარედ ჩაიცინა, შემდეგ კი სურნელოვანი ღვინო მადიანად გადაკრა.

— მე ადრე მოგახსენეთ, რომ ჩვენ ძალზე საინტერესო ხალხი ვართ, ექიმო. ოდესღაც [illegible] კალთები და მტკვრის ორივე მხარე მრავალი მილიონი ადამიანით იყო დასახლებული. ახლა, მხოლოდ რამდენიმე ასეული ათასიღა თუ ვიქნებით. ერთ დროს უძლიერესი მოკავშირე ვიყავით რომისა და ბიზანტიისა. დიდი თამარის მეფობის დროს, თურქები და სპარსელები ხარკსაც კი გვიხდიდნენ. ყველაფერ ამას დღეს მხოლოდ უზარმაზარი ციხის ნანგრევები, კლდეში გამოკვეთილი მდიდრული მონასტრები და კულტურის იშვიათი ძეგლებიღა მოწმობს. ახლა კი...

... ქართველი ელჩი დადუმდა და მწარედ ჩაიქნია ხელი.

რეინეკეს თავად ამილახვარის სიტყვები გახსენდა, რომელიც ვენაში, ზინზენდორფის სასახლეში შეხვდა.

— ვიცი, ბატონო ელჩო, ამ მრისხანე, ასეული წლების მანძილზე ქართველები [illegible], სისხლისაგან დაიცლებიან. საოცარია, ამ ორ უზარმაზარ სახელმწიფოს შორის, ასეთი პატარა ერი როგორ გადარჩა. მაშასადამე ქართველები, ალბათ იმასაც უნდა უმადლოდნენ, რომ ამდენმა შემოსევამ, რბევამ და ომებმა, ისინი გამოაწრთო და გააკაჟა.

აბაშილს ვაჟკაცურ, ლამაზ, ბრინჯაოსფერ სახეზე გაკვირვება გამოიხატა.

— გამოწრთობა? — მაგაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ვიკლებდით და ვქვეითდებოდით. ერთიანი, მძლავრი საქართველო ჯერ ორ ნაწილად გაიყო, შემდეგ — სამად, მერე ხუთად. ახლა საქართველო ხუთი პატარა სახელმწიფოა, რომელთაგან ორი ერეკლეს ძალაუფლებას ემორჩილება. და ეს ორი რომ მაინც იყოს ერთიანი...

ჩვენთან ბატონ-ყმობა იმ დაწყევლილ ჯვაროსანთა დროიდან შემოვიდა და იმ დღიდან მოყოლებული თითქმის ყოველი ქართველი ფეოდალი სრული ბატონ-პატრონია საკუთარი ადგილ-მამულისა. თუ მეფე მათ დამორჩილებას განიზრახავს, თავადები ერთმანეთს კი აღარ ებრძვიან, ერთიანდებიან და მეფის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

— არ მესმის, ჩემო მოხუცო, მაშ მეფის მტრებს როგორღა ებრძვით?

აბაშილს სახეზე ისევ გაკვირვება გამოეხატა.

— სამწუხაროდ, თურქების ან სპარსელების შემოსევის დროს, ის თავადები, რომლებიც მეზობლებს არ ებრძვიან, თავისი მხედრებით მაშინათვე მეფის სადროშოსკენ მიიჩქარიან ხოლმე.

— ეჰ, რამდენ რამეს გავაკეთებდით, ერთმანეთი რომ არ გვეხოცა და შემოსეულ მტრის წინააღმდეგ საერთო ძალით გვებრძოლა. ... დამიჯერეთ, ექიმო [illegible], მაშინ მართლაც სასწაულს მოვახდენდით. ქართველი გლეხები ძლიერი და ამტანი მებრძოლები არიან. ამ მხრივ მათ ვერავინ

(დასასრული მე-4 გვერდზე)

მორის ფოცხიშვილი

ფიქრები კეთილ კაცზე

ალექსანდრე გზირიშვილს

პალატა, როგორც ვეშაპის ხახა,
სავსეა ჩემი ჭრელი სიზმრებით, —
წყალს მოწყვეტილი თევზივით ახლა
ვგდივარ საწოლზე და არ ვინძრევი.

ტკივილი — მწუხრის ფერია ძაღლი
ჰყეფს და იკავებს სიცოცხლის ბილიკს...
და როგორც გემი ირწევა სახლი,
ზღვის მარილივით თეთრი და გრილი.

და კვლავ ხარხარებს სიკვდილი სადღაც...
მაგრამ მე მჯერა, გამოსჭრის არხებს,
ნორჩულ და ვითარც კეთილი ტალღა
დიდი ცხოვრების მორევში გამხვევს.

* * *

შენ გაიღიმებ და ცისარტყელა
როგორც იმედი ბრიალის, ბრძოლის,
აიმართება საწოლებს შორის.

შენ გაიცინებ და გაზაფხული,
ვით ჯადოსნური ხეხილი უმალ
დაირხევა და ჩემს გარეშემო
დასცვივა შენი რწმენის ნაყოფი.

შენ ხარ ის რწმენა
შენ ამბობ: „მოვა
დრო და
დატკბება ეშმაკს ეშვები!"
და გულს, ვით ზღვაში ჩაძირულ ხომალდს,
ეძებ,
პოულობ
და არ ეშვები.

მზის სხივებივით თბილი თითებით
ქსოვ ჩემი სულის ლამაზ სამოსელს
და კოცონივით ისევ ვინთები
მიმქრალ ფიქრების სასაფლაოზე.

* * *

ხარ აღმართული
ცისა და მიწის
უღელტეხილზე
[illegible] ხიდად —
ყოფნა-არყოფნის მართლმსაჯულების
დიდი სასწორის გიჟური მტკიცედ
და წვეთ-წვეთობით სწონი უცდომლივ
ყოველი კაცის სურვილს და სიზმრის.

და გაგაქვს კვალი,
კეთილი კვალი,
ძალით, სიცილით, ყვირილით, ცრემლით,—
ებრძვის კეთილ ხეხილებს ქარი
და ცვივა ხნულში
კეთილი თესლი.

* * *

შენ იქ ხარ, სადაც მწვანით ივსება
ლურჯი ბილიკი და გაფითრებით
კალთა უფსკრულთა
იბრძვი ღირსებას
და ღირსეულთა შუქად ირთვები.

შენ იქ ხარ, სადაც ქარით ვიმსხვრევი
და მიტაცებენ თოვლში ქურები —
რაც უნდა გითხრა, თვით მიმიხვდები,
როცა მოვალ და დაგიმუნჯდები.

არ გეშინია და ჩემს სადღეგრძელოდ
ღვინით ავსებულს ფიალებს დასცლი...
პირველთაგანმა რომ განიცადო
ჩემი პირველი თრთოლვა და მარცხი.

* * *

მეხამრიდივით
პირველი ხვდები
ელვა-ქუხილის პირველ გრიგალებს, —
პირველი შენ ხარ, შენ იზიარებ
ჩემს პირველ სიტყვას, სიხარულს, სევდას.

პირველი დარტყმა შენს გულზე მოდის,
პირველი შეხლა,
პირველი ელდა, —
აღელდები და პირველი შენ ხარ
აღელვებული იმედად ჩემდა.

შენს გულზე მოდის წყენა პირველი,
პირველი თოვლი, წვიმა, წყვდიადი,
პირველი ჭმუნვა და ტკივილები,
პირველი ზარი ტელეფონისა.

პირველ ძილმიწურს
პირველს გეთხრიან,
ზღვას ასწვდები პირველ უფლებით,
შენ აფრენ ცაზე პირველ თვითმფრინავს
და პირველ მსხვერპლად
შენ იღუპები.

* * *

არ იყო გზა და სუყველა იდგა,
არ იყო ხსნა და უეცრად ვით მზე,
ვიღაც მოვიდა და იქცა ხიდად
და გავიარეთ მშვიდობით ხიდზე.

და ვიგრძენ, როგორ მესროლეს ტყვია,
მაგრამ მე ისევ ცოცხალი დავრჩი —
ის ამეფარა...
და აი, მიმაქვს
მისი დაღუპვის ამბავი სახლში.

მიმაქვს და როგორც სამართლის წიგნი
ისევ იშლება დრო-ჟამი მკაცრი...
ვინც უნდა მკითხოს:
— ვინ არის იგი!
მე ვუპასუხებ:
— კეთილი კაცი!!!

* * *

კეთილ კაცს მრავალჯერ დასწამეს ცილი,
მრავალჯერ დაახშვეს მისი ხმა წყნარი...
მრავალჯერ დაუფრთხეს ფხიზელი ძილი,
დაუფრთხეს, მაგრამ... იყო და არის.

და აჰა, დღეს კვლავ რეკს
სიცოცხლის ზარად
ქმედება, ერთ დროს აზრგაწყვეტილი,

ზღვაში ჩაძირულ ხომალდის დარად
მაღლა ამოდის კაცი კეთილი.

* * *

კეთილი კაცი მზის ტოტებს არხევს,
თითებში უჭირს წითელი ვაშლი...
მუქწითელ ვარსკვლავად უელავს სახე
და ცისკარივით შემოდის სახლში.

კეთილი კაცი შორიდან მოდის,
დაღლილია და არა აქვს ძალა,
და ზეთისხილის ლამაზი ტოტი
ამშვენებს, როგორც მშვიდობის ქალაქს.

* * *

სალამი შენდა!
სალამი მაღალ
სულს, გაბრწყინებულს ჩვენს ცაზე
მზისებრ.
შენ, ვინც სიმართლის თონეში ახლა
მართალი კაცის პურს აცხობ ისევ!

შენ, ვინც შეიძლებ ის თქვა ყოველთვის,
რაც სათქმელია ბოლოს და ბოლოს,
ვისაც შორს დაგრჩა ყველა შორეთი
და ახლა მხოლოდ მომავლით ცხოვრობ!

* * *

შენ ხარ სიყვარულმისჯილი გული,
შენ სიყვარული გაწვდის და გათავსებს
და მაინც კვლავ ამ სიყვარულს უღელი,
ვით შენი დიდი სულის სათავეს.

ხარ სიხარულით ავსილი ბავშვი
და როგორც ქვეყნის ერთგული ელჩი
დახვალ კეთილი ფიქრების ბაღში
და რგავ ახალი ცხოვრების ხეხილს.

არ იცი, რაა შური და მარცხი,
არ იცი, რაა ძრწოლა და შიში,
ზეცაზე, როგორც კეთილი კაცი.

კეთილად ნაქსოვ ხალიჩას მიშლი.
და მწამს, თუნდაც ბედი მსახვრალი
კვლავ თუ წარგტაცებს ჩემს თავს
ბინდებით,
ნაიარევი შენ და საწყალი
საწყალობელი ხმით ატირდები.

მერე იბრძოლებ, მაინც იბრძოლებ
ალმად აიღებ ახალ აღმართებს...
გაჩხრეკ, ვით ნაცარს, ჩემს ცივ
სიცოცხლეს
და ისევ ლამაზ ცეცხლად აღმანთებ.

* * *

შენ ერთი ხარ და
ხარ უთვალავი,
შენ კაცი ხარ და ხალხში მერევი,
შენი კეთილი გულის თვალით
სავსეა ჩვენი ბედნიერებით.

ხარ ხარაჩოზე, გემბანზე...
ახლაც
[illegible] ჩვენს ყოფას ერთვი,
შენ ტელესკოპებს უზიხარ სადღაც
და სწვრეტ უხილავ სამყაროს ჩვენთვის.

შენ ხარ მუსიკა მუშად შექმნილი,
ჩემი ტკივილის წამალი მწარე,
დღეს შენი სიტყვა, სიტყვა კეთილი
მე მიღებს ყველა დარბაზის კარებს.

შენ ერთი ხარ და ხარ უთვალავი,
შენ ხარ ხარატი, მხატვარი, ხური,
ხარ ჩემი მწიფე ყანის ნამგალი,
ხარ ჩემი ცხელი სტრიქონის ჭური.

გამხარებელი და გამხარები
ვით დედა-მიწა სიკეთით გვავსებ...
შენ მე ჰიმნებით დამატარებდი
და არ დამფანტე მტვერივით გზაზე.

ახლა მე თავად
გაგიფრთხილდები,
ვით ძმას და ძმობილს,
მეგობარს, ნაცნობს..
შენთვის ვიბრძოლებ,
შენთვის ვიცოცხლებ,
შენთვის მოვკვდები,
კეთილო კაცო!!!

სანდრო ეული-ქურიძე

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ძველი ბოლშევიკი, სამშობლოს ბედნიერების დაუცხრომელი მომღერალი **სანდრო ეული-ქურიძე**.

სანდრო ქიშვარდის-ძე ეული დაიბადა 1890 წლის 23 ოქტომბერს (ძველი სტილით) ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზომლეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ მომავალი პოეტი შედის ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელთან არსებულ სასოფლო - სამეურნეო სკოლაში, მაგრამ მეფის თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო გამოსვლებში მონაწილეობისათვის იგი სასწავლებლიდან გარიცხეს. მომავალმა პოეტმა მაინც შეძლო 1907 წელს ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებელი დაემთავრებინა, რის შემდეგაც, მძიმე ოჯახური პირობებით იძულებული, ფოთში მიდის და ნავსადგურის მუშის მძიმე ჭაპანს ეწევა.

სანდრო ეულის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1909 წელს ჟურნალ „ეშმაკის მათრახში". ამავე წელს იგი სამუშაოდ ბაქოში გაემგზავრა. აქ 19 წლის ჭაბუკი მთელი არსებით ჩაება მუშათა მოძრაობაში და დაეწაფა თვითგანვითარებას. ამ ეტაპმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პოეტის იდეურ-ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს ბაქოში ქართული ჟურნალ „წყაროს" გამოცემის საქმეში.

1916 წელს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის სანდრო ეული დააპატიმრეს და ბაქოს ბაილოვის საპყრობილეში მოათავსეს. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პოეტი ჩამოვიდა თბილისში და განაგრძო არალეგალური რევოლუციური მოღვაწეობა. თანამშრომლობს დაიწყო პრესაში და გამოაქვეყნა მგზნებარე, მებრძოლი ხასიათის ლექსები. 1917 წელს სანდრო ეული შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. იგი რედაქტორობდა გაზეთ „კომუნისტს" და აქტიურად იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, რისთვისაც მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა და კვლავ საპყრობილეში ჩასვა. პოეტს არც აქ შეუწყვეტია შემოქმედებითი მუშაობა, ციხის კედლებში დაიწერა მისი ცნობილი ლექსი „წითელ საქართველოს".

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პოეტი გაათკეცებული ენერგიით ეძლევა შემოქმედებით მუშაობას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მთელი რიგი წლების მანძილზე სათავეში უდგას საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას და ღირსეულ მონაწილეობას იღებს ჩვენი პარტიის ირგვლივ შემოქმედებითი ინტელიგენციის შემჭიდროების საქმეში.

სანდრო ეულის პოეტური შემოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენი ხალხის ბრძოლასთან თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, მისი ლექსები მუდამ ყურადღებას იქცევდნენ რევოლუციური სულისკვეთებით. ხანგრძლივ სიცოცხლის მეტი ხნის მანძილზე სანდრო ეულს ყოველთვის მაღლა ეჭირა სოციალისტური რეალიზმის დროშა, სიმართლით გამოხატავდა სოციალიზმის მშენებელი ადამიანის მისწრაფებებსა და სულის სილამაზეს. პოეტის მოღვაწეობა მუდამ სამშობლოსა და ხალხის სიყვარულით იყო შთაგონებული.

სანდრო ეული მრავალმხრივი შემოქმედი იყო. ლირიკულ ლექსებთან ერთად მან შექმნა პოემები ისტორიულ-რევოლუციურ და თანამედროვეობის თემებზე: „არწივების ბუდე", „ჭალადიდი", „ზღვისპირა ქალაქში", „პოეტი და მეფე", ისტორიული დრამა „დაბადება". ეს უკანასკნელი საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის საქართველოში ყოფნას, ქართველ მოღვაწეებთან მის ურთიერთობას ასახავს.

სანდრო ეული ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. მან მშობლიურ ენაზე აალაპარაკა [illegible] სიჭაბუკის დროინდელი ლექსი „სალამი", ა. [illegible] „ამხანაგო, ქარიშხალო", [illegible] ნაწარმოებები.

სანდრო ეული [illegible] წლობასთან. იგი არაერთხელ იყო არჩეული საქართველოსა და საკავშირო სამწერლო ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებში, იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალ „ნიანგის" რედაქტორი, საქართველოს კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი.

კომუნისტურმა პარტიამ და ქართველმა ხალხმა ღირსეულად დააფასეს სანდრო ეულის ღვაწლი. 1934 წელს მან გადაიხადა სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 25 წლისთავის იუბილე, ხოლო 1960 წელს — დაბადების 70 წლისთავი. იგი დაჯილდოებული იყო საბჭოთა მთავრობის ორდენებითა და მედლებით.

ჩვენს შორის აღარ არის უმწიკვლო კომუნისტი, სათნო და კეთილშობილი ადამიანი, მუდამ მხნე და დაუღალავი მოღვაწე სანდრო ეული. მისი ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მადლიერი მკითხველისა და მეგობრების გულში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

პოეტის უკანასკნელი გზა

იმ დღეს საქართველოს მწერალთა კავშირის შენობაში ხალხმრავლობა იყო. ხალხი ეთხოვებოდა ცნობილ ქართველ საბჭოთა პოეტს.

დღის ოთხი საათია. დაიწყო სამოქალაქო პანაშვიდი, მიცვალებულის ცხედართან საპატიო ყარაულში დგებიან ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები, დაკრძალვის მომწყობი კომისიის წევრები. დარბაზში შემოდიან ამხანაგები: გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჟავანაძე, ა. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფურუიძე, ო. ე. ჩერქეზია, შ. ა. დოლიძე.

და აი, იწყება გამოთხოვების მიტინგი. სიტყვას ამბობს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტი.

— დღეს ჩვენ ვეთხოვებით და უკანასკნელ გზაზე მივაცილებთ ქართული პოეზიის ღირსეულ წარმომადგენელს, ადამიანს, რომლის მთელი სიცოცხლე და შემოქმედება ბრწყინვალე მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს პოეტი ხალხს, მის იდეალებს.

— სანდრო ეულმა თავისი პოეტური სიტყვა აგურად ჩააშენა ახალი საზოგადოებრივი წყობის ნათელ შენობას, — ამბობს იაკინთე ლისაშვილი, — ამიტომ გახდა იგი საბჭოთა მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

დიდუბის პანთეონისაკენ მიმავალი გზა სავსეა ხალხით, სანდრო ეულის პატივისმცემლებით.

და აი, დიდუბის პანთეონიც...

სიტყვას ამბობს პოეტის მეგობარი, დრამატურგი ი. ვაკელი: სანდრო ეული იყო კეთილი და მოსიყვარულე, პრინციპული და უკომპრომისო ადამიანი. მის პოეტურ მემკვიდრეობაში თაობები ამოიკითხავენ, თუ როგორ იბრძოდა იგი სიკეთისა და პროგრესული იდეებისათვის.

სიტყვებით გამოდიან ძველი ბოლშევიკი, სანდრო ეულის თანამებრძოლი, პროფესორი პ. შუშანია და კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომელი ნ. ლაიშვილი.

— ჩვენ გვახსოვს სანდრო ეულის მხურვალე სიტყვები სომეხი მწერლებისადმი, — ამბობს სომხეთის მწერალთა კავშირის წარმომადგენელი ვაზგენ მნაცაკანიანი, — გვახსოვს და დავალებული მაქვს გაგიზიაროთ ჩვენი ღრმა მწუხარება ძველი რევოლუციონერისა და ცნობილი პოეტის დაკარგვის გამო.

შემდეგ დრამატურგი ო. ჩიჯავაძე კითხულობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან გამოგზავნილ დეპეშებს.

მ. ჯავახიშვილის ორი ლექსი და ერთი ეტიუდი

გაზეთ „ცნობის ფურცლის" სურათებიანი დამატების 1903 წლის 9 ნოემბრის საკვირაო ნომერში მ. ადამაშვილის ხელისმოწერით დაიბეჭდა საკმაოდ გრძელი ლექსი „ოცნების ტალღები". ლექსი, რომელიც 140 სტრიქონისაგან შედგება, ასე იწყება:

როს დილის სხივი დაიწყებს
ჩურჩულს
და ცა მტრედისფრად შეიღებება,
ტოროლა მაღლა აინავარდებს
და რომ მომხვდება, მომესალმება.

ეს სტროფები ნათელ წარმოდგენას იძლევა პოეტის განწყობილებაზე. ცხადია, აქ ზედმეტია ლექსის განსაკუთრებულ პოეტურ ღირსებებზე ლაპარაკი, მაგრამ თუ ჩვენ ეს გავიხსენეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მ. ჯავახიშვილის მხატვრულ ნაწარმოებთა შორის პირველი დაბეჭდილი ნაწარმოებია.

ამ ლექსის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ 16 ნოემბრის „ცნობის ფურცლის" იმავე საკვირაო დამატებაში დაიბეჭდა მოთხრობა „ჩანჩურა", ხოლო 19 ნოემბრის ნომერში მ. ადამაშვილის ხელმოწერით გამოქვეყნდა ლექსი „ობლები". ეს ლექსი შედგება 24 სტროფისაგან.

მხატვრული თვალსაზრისით არც ეს ლექსი გამოირჩევა. მაგრამ საინტერესოა, რომ მასში იმედიანობა და ისეთი მებრძოლი სულისკვეთებაა, რომ მკვლევრისათვის საკმაო მასალას იძლევა.

ლექსის ავტორი შემოდგომის ღამეს გვიხატავს. ყველაფერი ბნელში მთანთქმელ, სარკმელში მძიმე და ცივი ქარი შემოდის, ირგვლივ სიბნელე მეფობს, განუწყვეტლივ წვიმს, ხეებს ფოთლები სცვივა, ლექსის ლირიკული გმირი (ე. ი. ავტორი) ფანჯრიდან გაჰყურებს ამ შავ ღამეს და სიცივისაგან კანკალებს. ლოგინში ჩაწოლას ვერ ასწრებს, მაგრამ ვეღარ იძინებს, რადგან „...მე მეგონა მივიდა და, სულ ერთია, ვერც აქ გავთბებით", მოსთქვამს ავტორი და მერე იმ ბოლო წეროს ამბავს ჰყვება, რომელსაც ღამის სიბნელე [illegible] და ერთსადაიმავე იდეალის ტრფიალებს.

იმისი კვნესა, ოხვრა, ტირილი
სიჩუმეს არღვევს, ვით გლოვის
ზარი,
საწყალი მაინც ებრძვის სიკვდილსა,
თუმცა იმედი არსაით არის.

ეს წერო სამხრეთისაკენ გაფრენილ ამხანაგებს არ გაჰყოლია და ავტორი ცდილობს ამის მიზეზები გაარკვიოს.

რის თქმა სურდა მ. ჯავახიშვილს ამ ლექსით? მკითხველი შეამჩნევდა, რომ ლექსში შემოდგომის ბნელი ღამის სურათებია დახატული, მაგრამ აქ ავტორს შემოდგომის ეზრალი პეიზაჟის შექმნა როდი სურდა. მას უნდოდა გამოეთქვა არსებული საზოგადოებრივი წყობილებისადმი ზიზღი და სიძულვილი, პროტესტი მისი კანონების მიმართ, რადგან ეს კანონები ბოჭავდა და ანადგურებდა პიროვნების თავისუფლებას.

ლექსის ავტორს არსებული საზოგადოებრივი წყობილება ღამისა და ობლობის განწყობილებას უქმნის, მაგრამ სწორედ ეს უკმაყოფილება ხდება იმის მიზეზი, რომ ხმა აიმაღლოს და ბრძოლა გამოუცხადოს გაბატონებულ საზოგადოებრივ წესს, რომელიც ძალმომრეობაზეა დაფუძნებული.

მწერალი თავის მდგომარეობას ადარებს გუნდისაგან მოწყვეტილ წეროს მდგომარეობას, იმ წეროსას, რომელიც არ დამორჩილებია თავისი გუნდის წესებს, გაურჩებელა და გამოყოფია მას, მაგრამ წერს, რომ ის სუსტია ეგოისტური წესების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს საბრძოლო განწყობილება და არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგ პროტესტი ამ ლექსს თავიდან ბოლომდე გასდევს. ის კი სრულიად ბუნებრივად მოჩანს ამ წლებისათვის.

ამ ლექსში ჩვენ ვხედავთ ახალგაზრდა მიხეილ ჯავახიშვილს, რომელიც პროტესტანტულად არის განწყობილი იმ საზოგადოების წინააღმდეგ, რომელშიც მეფობს ის, რაც არ მოსწონს. მომდევნო წლებში მან თავისი მოთხრობებით და მრავალი პუბლიცისტური წერილით პროტესტის ეს ხმა უფრო გაბედულად აღიმაღლა.

მ. ჯავახიშვილის სხვა ლექსებს ჩვენ არ ვიცნობთ.

1903 წლის 14 და 21 დეკემბრის „ცნობის ფურცლის" სურათებიანი დამატების ფურცლებზე მ. ადამაშვილის ხელმოწერით დაბეჭდილია ეტიუდი — „შემოდგომის ღამე". ეს ეტიუდი „ჩანჩურას" შემდეგ მ. ჯავახიშვილის პირველი ბელეტრისტული ნაწარმოებია.

რაკი დღევანდელი მკითხველისათვის ეს ეტიუდი ძნელად ხელმისაწვდომია, გამართლებული იქნება, თუ მის მოკლე შინაარსს გადმოვცემთ. თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. მთხრობელი გვიან შემოდგომის წვიმიან საღამოს თბილისის ქუჩებში დადის და ხედავს როსკიპ ქალებს, რომლებიც მეძებრებს ეძებენ, ისინი გამვლელ მამაკაცებს ხან გვერდს გაუკრავენ, ხან უცინიან, ხან წინ აეტუზებიან, ასევე აქცევენ მთხრობელსაც, მაგრამ, როცა მიზანს ვერ მიაღწევენ, ჩამოსცილდებიან.

სიბნელეში ერთი სახლის შესასვლელთან მთხრობელმა შეამჩნია თავისი მეზობელი ქალი სოფიო, რომლის ოთახთანაც იგი ხუთი წლის განმავლობაში ბევრჯერ საათობით გაჩერებულა. ახლა მას ვიღაც მამაკაცი ეხვეოდა. სოფიო გაუბედავ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ბოლოს, სადღაც წავიდნენ ერთად.

გულდაწყვეტილი მთხრობელი ქუჩაში ხეტიალს განაგრძობს. მას რიგ ჩამომჯდარი და ბეწვიანი მამაკაცი აედევნება. ისინი თავს „სტუდენტად" და მასწავლებლად გააცნობენ. გზაში კიდევ ერთი ქალი მიეტმასნა: გეთაყვა, უბინაოდ ვარ, ღამე გამათევინე, — მამაკაცმა და მთელ თავს გემსახურებით. ეს ქალი ეხვეწა, ემუდარა და მთხრობელი იძულებული გახდა დათანხმებულიყო. ეზოში რომ შევიდნენ, სოფიოს ოთახში სინათლე სწორედ მაშინ ჩაქრა, მაგრამ იმ უცხო კაცს მაინც მოჰკრა თვალი.

მთხრობელმა თავისი ოთახის ზარი დარეკა. კარი გაუღო ოსმა მოსამსახურემ ბრინკამ (გაიხსენეთ, რომ ბრინკა „ჭაყის ხიზნებშიც" გვხვდება).

მთხრობელი დილით ბრინკას ბუზღუნმა გამოაღვიძა, „სტუმრებს" სამოვარი და ქვაბები მოეპარათ, მასპინძლის ჯიბეები გამოეცარიელებინათ და წასულიყვნენ.

ავტორი ამხელს იმ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელშიც ადამიანები ასე დამდაბლებულან, ადამიანის სახე დაუკარგავთ.

ამ ეტიუდში გატარებული აზრი ძალზე ახლოს არის ი. ევდოშვილის „მაწანწალასთან", „განკიცხულთან" და სხვა ნაწარმოებებთან. ეს თემა მეტად დამახასიათებელი და აქტუალური იყო აღნიშნული ეპოქისათვის. ისიც უნდა ითქვას, რომ ი. ევდოშვილის დასახელებული ლექსები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ამ ეტიუდს. ეს ეტიუდი მოგვაგონებს აგრეთვე მ. გორკის მოთხრობებს.

განხილული ლექსები და ეტიუდი ერთგვარად შეავსებს მკითხველის ცოდნას მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაზე.

ტარიელ კვანჭილაშვილი

თამარილას უძილო ღამე*

ლადო ავალიანი

თამარილას თვითონაც უკვირდა, ბოლო ხანებში ასე დაჟინებით და გაუწყვეტლივ რომ ფიქრობდა მატბიაზე. ღამე ისე არ ჩაივლიდა, რომ ეს ფიქრი, თითქო რამემ დააფრთხოო, არ გაღვიძებოდა და ლოგინში წამომჯდარი სმენად არ ქცეულიყო. ხშირად დასიზმრებია — თითქოს მატბია ჩამოსულიყო და ფრთხილად უკაკუნებდა ლობეზე, მომდგარიყო. ეს მოჩვენება, ეს ჩემი ძახილი, ეს შუაღამისას უეცარი გაღვიძება უკვე ისე დაჩვეოდა და ისე სტანჯავდა, აღარ იცოდა რა ექნა. იდუმალ ნატრობდა: როდის მომიწევს მესამე ცვლაში მუშაობა, ღამე რომ შინ არ ვიყო; მაგრამ ფიქრი მატბიაზე არც მანქანაში ეშვებოდა. იქაც ხშირად უნახავთ თამარილა უცაბედად შეკრთალი, თუ ჩაფიქრებული. სტანჯავდა ისიც, რომ თავის ფიქრებს ვერავის უმხელდა, გულს ვეღარაფრით იოხებდა. ერთადერთი კაცი, რომელსაც თამარილასათვის უცხო და მთელი არსებით არა თუ იდუმალ, უკვე აშკარადაც ეტრფოდა, იყო ხიდაშელი. მაგრამ ეს ყურადღება თამარილას უფრო აღიზიანებდა, ხიდაშელზე გული მოსდიოდა. ცდილობდა არაფერი შეემჩნია და ეს ახალი ცეცხლი თავისი მოჩვენებითი უყურადღებობით მოექრო.

თამარილასადმი ხიდაშელის იდუმალ ტრფიალს უკვე თავისი ისტორია ჰქონდა. გუშინდელ დღესავით ახსოვს თამარილას, როცა ბარდღა-ბოძინამ მოკიდებული პაპიროსით მას ცეცხლი დაუკვეთა, თამარილამ კი სამაგიეროდ მეზობლის სახლში სახეში, სწორედ მაშინ შემოიჭრა ვიღაც უცნობი ჭაბუკი საგარაჟოში და [illegible] ერთად თამარილას გამოსარჩლება სცადა. რამდენიმე თვის შემდეგ ის ჭაბუკი აღმოჩნდა მთავარი ინჟინერი, ლევანის, მაგიერ დანიშნეს შახტში.

თამარილამ გაისტუმრა თუ არა ლელა შატრიაკი, უკვე კარგა ხნის ნაკამბმეც ბავშვებს — გიას და გურამს ლოგინი გაუშალა და ძალის-ძალით დააწვინა. თამარილას სათითაოდ უხდებოდა მათი დაწვენა. დაღლილობისაგან ოთახში შეჰყავდა ისინი და იქ კვლავ იმართებოდა ჭიდაობა. ტანსაცმელსაც რის ვაი-ვაგლახით ხდიდა და ხვეწნით, დაპირებებით — თუ დაშინებით, ზღაპარს გიამბობთ, ლექსებსაც წაგიკითხავთო — ძლივს იმორჩილებდა. უდედმამოდ დარჩენილ დისშვილებს. მისი რამდენიმე თვის წვალების შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა და, დედულეთში ბავშვების უფუფრად დაკრძალეს. ამ ხნის განმავლობაში გია და გურამს დედა სამჯერაც არ გახსენებიათ, ისე იყვნენ თამარილასთან შეჩვეულნი და შეთვისებულნი; თვეში ერთხელ თუ იკითხავდნენ — დედა ამდენხანს სად არის. თამარილა უმალ, გაზეპირებულივით შეაგებებდა ხოლმე — რამდენჯერ უნდა გითხრათ, მამას ჩამოსაყვანადაა წასული. ამ საღამოსაც, სანამ თამარილა ზღაპრით შეიქცევდა, ბავშვებს ერთხელ კიდევ მოაგონდათ დედა. თამარილამ ისე მოხერხებულად წარუძღვა და ისე მარჯვედ შეაპარა გურამის და გიას შეკითხვას ზღაპრის თხრობა, რომ ბავშვების მთელი ყურადღება უმალ აქეთ წარმართა და ამ ერთხელაც გადაურჩა საპირბოროტო კითხვაზე მიკიბულ-მოკიბული პასუხის გაცემას. სანამ თამარილა ზღაპრის თხრობას დაასრულებდა, ბავშვებს წყნარად ჩაეძინათ. თამარილა ერთხანს ისევ უძრავად იჯდა იატაკზე გაშლილი ბავშვების ლოგინის ნაპირზე, გიას და გურამს რაღაც გამტყუნებული დასცქეროდა, მაგრამ ფიქრით სულ სხვაგან იყო. ისევ მატბია, ისევ წარსული... ისევ მკაცრი აწმყო...

მატბიას დაბრუნება-არდაბრუნებაზე ფიქრი შიშით ბოჭავდა მთელ მის არსებას. თამარილამ მოძებნა გადამალული ბარათები და ლამფის შუქზე ფარული გულისძგერით, ერთხელ კიდევ გადაიკითხა: როცა მოგონებებით გული იჯერა, მატბიას ბარათები კვლავ საგულდაგულოდ შეინახა და აივანზე გავიდა. სექტემბრის ბნელი ღამის მდუმარებამ ერთბაშად მოიცვა და გამოაცოცხლა, ის ახლა, სმენა გამახვილებული, თვალსაც ფართოდ ახელდა, თითქო რამეს მოელის და ეძებს; ყველაფერი ღამეს შთაენთქა და ეს გაუჩინარება ყოველდღიური რაღაც გამოუცნობ უსასრულობად ექცია; უსასრულობად ექცია ის, რაც დღისით ასე მკაფიო, ჩვეულებრივი და მარტივია. ამ ღამეში არა თუ ციოდა, ოდნავაც კი არ გრილოდა, მაგრამ თამარილამ სწორედ ისე, როცა სცივათ ხოლმე, მკერდზე მაგრად შემოიჭდო მკლავები და ფრთხილად ჩაიარა ქვის კიბე. ეზოში შემოიხედა. რაც თამარილა გარეთ გამოვიდა და რამდენიმე წუთი აივანზე დაჰყო, ის უკუნი სიბნელე თითქო გაბაცებულიყო. ახლო-მახლო თამარილას თვალი უკვე არჩევდა ნაცნობ საგნებს. ნაბიჯი რომ გადადგა, უცებ წინ ბაყაყი გადაუხტა, შიშველ ფეხზე შეეხო და შეაკრთო. თამარილამ სახლის წინ მოზრდილი ლეღვის ხე საგულდაგულოდ შეათვალიერა; მერე რამდენჯერმე ირგვლივაც შემოუარა. ფართო ფოთლებში ძლივს გამოირჩეოდნენ ტოტებზე ჩამომსხდარი ქათმები. მელია რომ არ დასეოდათ, ზაფხულობით საქათმის კარს კეტავდა თამარილა და ქათმებს ხეზე აბუდებდა. ლეღვის ძირას კი იხვები მიყუჟულიყვნენ. იქვე იდგა [illegible] — ტურტლიანი წყლით სავსე ხის პატარა საწნახელივით ვარცლი. წყლის ზედაპირზე და ვარცლის ირგვლივ უხვად იყო მიმოხვეტილი თეთრი ბუმბული. თამარილამ ჩაიმუხლა და შეფუთულ ხის ძირას სიბნელეში ხელი მოაფათურა, თითქო წაიჩურჩულესო, შეიქმნა გაღვიძებული იხვების ხმადაბალი ყაყანი. თამარილამ ერთს მუცელზე ამოსდო მარჯვენა ხელი და აიყვანა. სხვა დროს რომ არ მოსვლოდა, კალთაში ზურგზე გადაბრუნებული ჩაიწვინა და მოეფერა. იხვი უძალიანდებოდა, ცალ თავისუფალ ფრთას აფათქუნებდა და თან ისე ყაყანებდა, თითქო ეცინებიან და გამწარებული იცინისო. თამარილამ როგორც იყო იჯერა გული, იხვი ფეხზე დასვა და ფრინველმაც რაღაც თავისებურად იგრძნო თავი, ერთი შეაფართქუნა ფრთები, შეაცანცარა კუდი და აქამდე რომ ხის ძირას სიბნელეში მიყუჟული თავისიანები ღელვებით ეხმიანებოდნენ, რაღაც თავისებურად უთხრა უცნოდ, რადგან იმ წამსვე ყველა მიწყნარდა. თამარილამ იხვებს თავი ანება, ეზოში გაიარა. სხვა ხეებიც შეათვალიერა და, გამოიცნო რა, რომელი იყო ანტონოვის ვაშლის ხე, დაბალ ტოტს მისწვდა და დაარხია, ერთხელ, მეორედ, მესამედ. უცებ სიბნელეში გაისმა მიწაზე ორი ვაშლის ზედიზედ დაცემის ხმა. ერთი ვაშლი უმალ იპოვნა, მეორე კი აღარ უჩანდა. ხის ტანზე ვაშლი მაგრად დაბეგა, მოიბრიპა და მკვეთ წვენიც ხარბად შეისრუტა. არ ეგონა თუ ასე ესიამოვნებოდა. ამ ღამეში მოჩვენებასავით დადიოდა თამარილა, კბეჩდა მომჟავო, ჯერ უმწიფარ ვაშლს და ფიქრობდა ათას რამეზე... მატბია აგონებდა ფრონტს და იმ სისხლისღვრებს, რის შესახებაც ყოველდღე ასე დაწვრილებით ეწერა გაზეთებში... ფიქრობდა ნიკოზე და მის გასაჭირზე, ამასწინანდელმა იდუმალმა რომ ისე ულმობლად დარია ხელი და მისი გეგმები სულ ერთიანად გაიცამტვერა. იფიქრებდით ნიკოსაც დასდეს ბრალი. ხელი, მართალია, პირდაპირ ვერ დაადეს, მაგრამ დაეჭვებული მაინც არ დატოვებიათ... უბნის უფროსობიდან ცვლის უფროსად ჩამოაქვეითეს... ჩამოქვეითებას ვინ სჩიოდა, ცვლის უფროსად გამწესება, ნიკოს ასაკში სიკვდილს თუ არა, სამისოდ გამეტებას მაინც უდრიდა... რა თქმა უნდა, უფრო იოლ და შესაფერის სამუშაოზეც შეეძლოთ გამწესებინათ; ჯერ ბოლომდე გაუკვლევიათ, მაგრამ ბეჟანიძემ არა სთქვა, — ასეც ნუ გაამეტებთ, რას იტყვიან, ცვლის უფროსად მაინც დატოვეთო... ბეჟანიძეს სიტყვას ვინ შეუბრუნებდა, ვინ შეუსწორებდა, მით უმეტეს ახლა, როდესაც მანტის უფროსად დაამტკიცეს... თქმა არ უნდოდა, ყველაფერი კარგად იცოდა და კარგადაც ჰქონდა ნაანგარიშევი ბეჟანიძეს: — ჩამოქვეითების სიმწარეს თუ გაუძლო, სულ ერთია ცვლის უფროსობა მოუღებს ბოლოსო, — ფიქრობდა გუნებაში მანტის „ყოვლისშემძლე" უფროსი, მზაკვრობაში, გაიძვერობაში, უსინდისობაში გამობრძმედილი „ხელმძღვანელი". მაგრამ არაბიძეს თუ სხვა რამეში არა, თავის საქმეში მაინც სწყალობდა ბედი: თუ შეგებების არა, სამაგიეროდ გაძლეულობის რაღაც უცნაური უნარი მიემადლებია მისთვის გაჩენის. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ის ჯერ კიდევ ფეხზე იდგა...

თამარილამ, ის იყო, ვაშლით იჯერა გული და ბალახით დაფარულ მომცრო ფერდობზე ჩამოჯდა, რომ წამით სულ განაბულს ზურგსუკან რაღაც საეჭვო ფაჩუნი მოესმა... ფეხის ხმას თითქოს არა ჰგავდა და გული მით უფრო გადაეფანტა... ბალახში ხელი მოაფათურა, სახელდახელოდ არა თუ ქვა, კენჭიც ვერ იპოვნა. შიშმა უფრო აიტანა. თვითონაც არ იცოდა როგორ წამოიჭრა ზეზე... მერე სწრაფად შებრუნდა და... სახტად დარჩა. მის იგრძნო, შეცვენილივით როგორ დაუარა ტანში შიშის ჟრუანტელმა, უჯერებდა და თვალებს არ უჯერებდა. მისგან ხუთიოდე ნაბიჯზე მანტის მთავარი ინჟინერი ხიდაშელი იდგა. თამარილამ თავი დახარა, მარჯვენა დამუშტული ხელი კი, რომელშიაც, უნებლიეთ, სიმწრისაგან მობღუნილი ბალახის ღეროები შემორჩენოდა, ნელა გაშალა და მწყრალად იკითხა:

— რა გინდა?!

ხიდაშელს პასუხი დაუგვიანდა. წუთზე მეტი გავიდა ამ გაურკვეველ დუმილში. თამარილას მოულოდნელად ჩაესმა ხმელი კაკლის მტვრევის მსგავსი სუსტი ხმა; და როცა ხიდაშელს ხელებში შეაცქერდა, დაინახა რომ ის მართლაც წვრილ ტოტს ამტვრევდა და ამით-ღა გამოხატავდა თავის უმწეო მდგომარეობას. ერთი შეხედვით სწორედ საცოდავი იყო... სიყვარულისაგან წაქეზებულ ვაჟკაცს ამ შეხვედრისას თამარილას ეზოში შემოსვლა კი გაებედა, მაგრამ ახლა სიტყვის თქმა ვერ მოეხერხებინა.

— რა საკადრისია ამ უდროო დროს სხვის ეზოში მალვით სიარული და თვალთვალი...

თამარილას გამომწვევ სიტყვებზე ხიდაშელმა თავი ასწია და თვითონაც გამომწვევად უპასუხა:

— თუ კი... მიყვარხარ?

თამარილა ახლაღა მიხვდა, რომ შეცდა. აღარ იყო საჭირო გამოლაპარაკება და კითხვა. ხიდაშელის ასე უეცარმა და, თამარილას აზრით, ცოტა არ იყოს ურცხვმა პასუხმა, საგონებელში ჩააგდო იგი. იდუმალი ხმა აფრთხილებდა — ნურაფერს ეტყვი, შენ გაიქეციო, მაგრამ თამარილა ადგილიდან ფეხს ვერ სძრავდა. და უცებ გაბრაზებით წამოიძახა ის, რაზედაც სრულებით არ უფიქრია, გონებაში წინასწარ არ აეწონ-დაეწონა:

— ამ ხალხის სწორედ მიკვირს... ვისაც არ უყვარხარ, სწორედ იმას რომ შეეყვარებინე ხოლმე!

— ვისაც მოეწონება, ის შეგიყვარდება, აქ რაა გასაკვირველი!

— გასაკვირველი ბევრი რამეა...

— მაინც?..

— მარტო გარეგნული მოწონებით შეყვარება რა საქმეა? ხომ შეიძლება ხვალ სხვა უფრო მოგეწონოს...

თამარილას, ერთი შეხედვით ჩვეულებრივმა შენიშვნამ საგონებელში ჩააგდო ხიდაშელი; როგორ არ ეცადა, მაგრამ თავისთვის ხელსაყრელი პასუხის გაცემა მაინც ვერ შესძლო. ამ ორიოდე წუთში რაც კი გაიფიქრა უმეტესად შეყვარებულმა მთავარმა ინჟინერმა, ყველაფერი უსუსურობად და უწყობად მოეჩვენა. გაახსენდა, რაც თამარილას შეკითხვამ აფიქრებინა — თქვენ კი დაზღვეული ხართ ასეთი მოულოდნელობისაგან? ან — თქვენი გადაწყვეტილება — მატბია ხატად გახადეთ, ქალის ბუნებას ეწინააღმდეგებით... ვერც ეს და ვერც სხვა ამგვარი, უთვალავი „საბუთი", სულ ერთია, თამარილას რწმენას ვერ შეარყევდა. ამას ადრევე გრძნობდა ხიდაშელი, მაგრამ ახლა თვალნათლივ დარწმუნდა... დარწმუნდა და იმედიც სულ თუ არა, სანახევროდ მაინც გადაეწურა. სწორედ ამ ფარული სასოწარკვეთილების პირველი უნებლიე გამომჟღავნება იყო მისი უეცარი შეკითხვა:

— ვიცოდე მაინც, რით მიწუნებ?! რით ვარ სხვაზე ნაკლები? აქამდე რომ ხიდაშელი თვალს არ აშორებდა თამარილას, ახლა მორცხვად დახარა თავი პასუხის მოლოდინში. თამარილას ამან სათქმელი გაუადვილა. ძნელია, როცა ვინმე გიცქერის, მით უმეტეს დაჟინებით და გამომწვევად: ამით თითქოს იდუმალ გბოჭავს და ფიქრსაც გიშლის.

— მე არც შენი ღირსება მაინტერესებს, არც ნაკლი!

თამარილას გულგრილი და შეძლებისდაგვარად ცოტა უხეში პასუხი, გულში მწვავედ მოხვდა ხიდაშელს, მაგრამ ეს ოდნავაც არ შეიმჩნია. დამარცხებას და მით უმეტეს ასეთი რამის აღიარებას, ის არ იყო ჩვეული: ახლაც ეყო მოთმინება და ნებისყოფა წონასწორობის შესანარჩუნებლად. ხიდაშელმა დინჯად იკითხა:

— რატომ?

— რა კითხვაა?! — თამარილამ ოდნავ შესამჩნევად შეატოკა მხრები.

— არა მაქვს უფლება, მიყვარდე?

— რასაც თვითონ აქამდე ფიქრობდი, იმის უფლება გქონდა, მაგრამ გამხელის არა!

— სხვას თუ აქვს, მე ვინ წამართვა გამხელის უფლება?

— ვინ აძლევს თავს ყველაფრის გამხელის უფლებას, რომ ჩვენ მივეცით?

— რომელმის ემალო: რას ველოდი?

— თქვენისთანებს ლოდინი არ უყვართ.

— ლოდინი გულგრილობის და ულონობის საქმეა.

— მე კი პირიქით მგონია... განა სულსწრაფი მომთმენზე მეტია? ან თქვენ რით სჯობიხართ იმას, ვინც მიყვარს და აქ არ არის!.. მარტო იმით, რომ... აქა ხართ?

ისევ მოისმა წვრილი, ხმელი ტოტის ტკაცა-ტკუცი.

— უხერხულია, — დინჯად განაგრძო თამარილამ, — ყველას მატბიაზე ჰგონიხართ, თქვენ კი...

რა იცოდა თამარილამ თუ ეს უბრალოდ ნათქვამი, ჩვეულებრივი საყვედური ხიდაშელს ესოდენ გამოაფხიზლებდა. შერცხვენილმა, გაწბილებულმა და მოულოდნელად განაწყენებულმა მთავარმა ინჟინერმა ხმა აღარ ამოიღო, თავი არ აუწევია, ისე უხმოდ შეაქცია ზურგი თამარილას და ნელი ნაბიჯით გაემართა ჭიშკრის მიმართულებით.

— ძლივს ის ყაჩაღი ბარდღა-ბოძინა ჩამომცილდა და ახლა ამან გამოსჭაჟება, — გაიფიქრა და თვალი გააყოლა თამარილამ ხიდაშელს, სანამ ის სიბნელეში გაუჩინარდებოდა. — ალბათ მართლა ეჭვიანი ვარ, თორემ არც ამდენს მოვითმენდი, არც ასე ადვილად დამებინებოდა ამ ღამეში. იმედს კი რა, თქმა უნდა ჩემი მკვახე სიტყვა-პასუხი ვერ დააკარგვინებს".

თამარილა ისევ იმ ბალახმორეულ ფერდობზე ჩამოჯდა, სადაც წელან ისე დაფეთებული წამოიჭრა ზეზე. ამ შემთხვევამ ცოტა შეაკრთო, მაგრამ სახლისაკენ გული არ მიუწევდა... მატბიაზე ფიქრმა ისე გაითამამა, ისე გამოსცადა, უშიშარი ღამეშიაც, მარტოდმარტოც გულს ვაჟკაცივით ენდობოდა.

ახალი გათენებული იყო, რომ თამარილა უეცრად სროლის ხმამ შეაკრთო. გაიღვიძა თუ არა უმალ მიხვდა, ფიქრებში წასული, სადაც იჯდა, ხის ბოძზე მიწოლილა და რამდენიმე წუთი ასე, ღია ცის ქვეშ სძინებია. ზანტად წამოიწია და დააყურა. ღამით მიწაზე ნაწოლს ცოტა შესცივნოდა. ეს იყო და ეს. თავს სხვაგვარად გრძნობდა. წელიწადზე მეტხანს მანტში მუშაობას თამარილა უკვე გამოეწრთო და გააკაჟა, ერთი წუთიც და თამარილა ჭიშკართან გაჩნდა ხელპირის დასაბანად. წყალი ამოიღო. მთავარ გზაზე მანქანის თუხთუხი და საყვირის ხმა მოისმა. თამარილამ უმალ გაიფიქრა — ვიკითხავ რა სროლა იყო. ერთი მოქნევით წყალი ბალახზე დაასხა და ცარიელ სათლს ხელი უშვა თუ არა, [illegible] სათლი უცბად იტაცა ჰაერში და ძალუმად გაიქან-გამოაქანა. თამარილა კი ჭიშკრისაკენ გაიქცა და როცა თვალის „ვილისიც" გამოჩნდა, ის იყო, ღობის სარებში თავი გაჰყო, მანქანაში მსხდომთათვის უნდა დაეძახნა, რა იყო, ვინ ისროდა, რომ მოულოდნელობისაგან სიტყვა პირზე შეაცივდა. თვალის „ვილისში" სამ კაცს მოჰკრა თვალი. აქეთ-იქეთ ბატალიონის უფროსი და მისი თანაშემწე ისხდნენ; ის კი, ვინც შუაში მოემწყვდიათ, ერთი შეხედვით თითქო კიდეც ეცნოდა, კიდეც ეუცხოვა. ამ უცნობმა ჯერ გაოცებით გაუშტერა თვალი თამარილას, მერე ნელა დახარა თავი... როცა მანქანა თვალს მიეფარა, მაშინ კი იტაცა თამარილამ ხელები ორივე ლოყაზე, ახლა მოაგონდა, ახლა მიხვდა ვინ იყო მესამე მგზავრი.

— ბარდღა-ბოძინა!.. — ხმამაღლაც წამოსცდა თამარილას მისი სახელი.

---

* „ახალი ჰორიზონტის" მეხუთე ნაწილის ერთი თავი.

„სეილემის პროცესი"

ფარდის ნაცვლად სცენის სიგრძე-სიგანეზე დაშვებულია რკინის ბადე, ხაოიანი ბადის კედელი. იგი შემაძრწუნებელი ჭრიალით იწევს მაღლა, ასევე უსიამო ხმაურით ეშვება ძირს. ერთი შეხედვით ეს კედელი მოგვაგონებს შუასაუკუნეების მკაცრი დარბაზების ჯაჭვებიან ჭიშკრებს. ალბათ ასეთი კარი ქონდა ელსინორის სასახლეს, სადაც სული ეხუთებოდა ჰამლეტს. ალბათ ასე მიუსაფრად ეცემოდა და იღებოდა რკინის ჭიშკარი რიჩარდ მესამის სამფლობელოში, ან მაკბეტის ციხე-დარბაზში. ამგვარი ასოციაციები უნებურად ჩნდება და ჩვენს წარმოდგენებს შუასაუკუნეების პირქუშ გარემოში ეხვევა. ნაცრისფერი რკინის კედელი ყოფს დარბაზს იმ ცხოვრებისაგან, რომელიც ამ კედლის მიღმა სულ მალე დატრიალდება, თანდათანობით აზვავდება... და ეს კედელი, მხატვრის საინტერესო მიგნება, უცებ იწყებს სიმძიმის, სიცივისა და მისი უსიამო შეგრძნებებს. უფრო მეტიც: იგი ტირანული სისასტიკის უცებ სიმბოლოდ აღმართულა ჩვენს წინაშე და თუ ასოციაციებს უფრო შორს გავყვებით, მისი ტლანქი მოძრაობა, დაცემის შემზარავი ხმაური გილიოტინის გიგანტური ნაჯახის გრიალს ჰგავს. უეჭველია, რომ ამ საოცარი კედლის მიღმა გადაიშლება კაცობრიობის კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელი, დაიჯახებიან უდანაშაულო ადამიანები, ჩაბნელებული ტალანების მდუმარებაში ჩაქრება მრავალი სიცოცხლე და სასამართლო პროცესის მეშვეობით იზეიმებს გამარჯვებული ბოროტება. მერე გაივლის წლები, მართალი ადამიანის თვალი შეიჭრება საშინელი დარბაზების მდუმარებაში, გადაფურცლავს არქივებს, ჩვენებებს, სასამართლოს ოქმებს, „დაარღვევს" ყალბად შეთითხნილ საქმეს და დაიწყება „სეილემის პროცესი". სამხილი გამოვა კეთილის და ბოროტის უთანასწორო ბრძოლის ტრაგედია და ციხის ტალანებიდან გამოვა ამგვარ სიმართლე და ისტორია კიდევ ერთხელ გახდება მოწმე იმისა, რომ სიმართლის მოკვლა არ შეიძლება.

იწყება სპექტაკლი. დასაწყისი თითქოს არაფერს გვეუბნება მნიშვნელოვანს. მაგრამ თანდათან იხსნება კვანძი, სპექტაკლში ჩნდება ვნება დროისათვის, ყველა ადამიანისათვის რიგორც საერთო, რასაც უწყრალებს არტურ მილერი. ეს არის ის ზოგადადამიანური, რასაც ეყვარება სიკეთე, ვაჟკაცური მორალი, ადამიანის სიყვარული.

სამივე მოქმედებისას სცენაზე მკრთალი სინათლე იდგა. მე ისე მომეჩვენა, თითქოს რეჟისორული ფანტაზიით გამოყენებული სინათლე განათებაშიც ხაზგასმული იყო. რეჟისორი და მხატვრები განზრახ ერიდებოდნენ ჭარბ ნათელს, თითქოს უღიმღამო სანთლებზე მეუხე ეცინებოდნენ საუკუნო ბრძოლაში, ფსიქოლოგიურ ჭიდილში ჩაბმულ ადამიანებს. ნახევრად ბნელ სცენაზე თითქოს შემზარავად კიაფობდა ინკვიზიტორის დანთებული კოცონების ალი, ციხის ჯურღმულებიდან გამოსარ- [illegible]

ჩიკვაიძის მიერ გაფორმებული სპექტაკლები. „სეილემის პროცესი" მაინც სხვა არის მათს ნამუშევრებში. აქ არ იყო „მაფრაკის" ფეერიული სიმსუბუქე და ხალისიანობა, ზღაპრული მაგალითისთვის არჩეული ფერადოვნება თუ სიჭრელე. „პროცესში" სცენა „დაიკავა" პიესის დამახასიათებელმა არქიტექტურამ და ყოფითმა დეტალებმა. ამან შექმნა საფუძველი რეჟისორული მიგნებების, საერთოდ, ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გამოხატული დამუშავებისათვის. რეჟისორი გარკვევით გაექვა „ამაღლებული თეატრის", მონუმენტური სანახაობის გზას. ღრმა აზროვნებაა პიესაში. იგი არ მოითხოვდა სცენური ცხოვრების „მიწიერ სიმართლეს", მაგრამ არც ცარიელ ფრაზებს გრძნობა დაუკარგავს.

ნაკლებ მნიშვნელოვანი არ იყო რეჟისორისათვის მსახიობთა ანსამბლის „გაუცხოვება". მაყურებლის წინაშე 1692 წელს ამერიკის ერთ-ერთ შტატში (მასაჩუსეტსი) მომხდარი ამბების ისტორიული სიმართლით აღდგენა, ჩვენ უნდა დაგვეჯერებინა ის ცხოვრება, სადაც ადამიანებს სჯიდნენ კუდიანობის არსებობა, სადაც აღმოცენდა უსამართლო გაუგებრობა და უჩვეულო სეილემის პროცესისათვის. პირველივე სცენებიდან სამუელ პერისი (ზ. კობახიძე), აბიგაილ უილიამსი (ი. გიგოშვილი), ჯონ პროქტორი (გ. მაღალაშვილი), ცოლქმარი პატნემები (ნ. მარგველაშვილი, ე. ვარნაძე) ჯაილს კორი (გ. თალაკვაძე) იქცევიან ცოცხალ ადამიანებად, ისტორიის წიაღში ჩაიკარგნენ, რათა იქიდან გამოიტანონ წამებული სიმართლე. იმ ბუტაფორიულობის ნაცვლად, რომელიც მრავალჯერ გვინახავს ისტორიულ თემაზე შექმნილ სპექტაკლებში, სცენიდან შეიჭრა სამი საუკუნის წინანდელი ყოფაცხოვრების სრული ილუზია, დახვეწილი კოსტუმებით, გათავებული გრიმით, ყველაფერი დაუმორჩილდა გარდასახვის გზით წარსულში გადასახლებას.

რეჟისორმა რ. სტურუამ იპოვა ადამიანთა ურთიერთობის ფსიქოლოგიური არსები, მონახა სპექტაკლის ზუსტი ინტონაცია.

კოლექტივის შინაგანი კულტურა სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდა, სამუელ პერისი (ზ. კობახიძე), აბიგაილ უილიამსი (ი. გიგოშვილი), ელიზაბეტ პროქტორი (ზ. კვერენჩხილაძე), ჯონ პროქტორი (გ. მაღალაშვილი), დენფორტი (ს. ზაქარიაძე), ჯონ ჰეილი (გ. საღარაძე) საუკეთესო სახეებია. აქ ყოველი სახის ბუნებაში ფსიქოლოგიური სიღრმეებია მოსაძებნი და, მიუხედავად შინაგანი სირთულისა, ერთგვარი ფილოსოფიური სიმძიმისა, მაყურებლამდე ყველაფერი ნათლად არის მიტანილი.

სპექტაკლის დასაწყისში ექსპოზიცია ერთობ გრძელი და ცოტა დუნეც აღმოჩნდა, მაყურებლის ყურადღების დაძაბვა ცოტა გაძნელდა. საბედნიეროდ „კრიზისმა" მალე გაიარა. ჯონ პროქტორის და აბიგაილის შეხვედრამ პირველი ჩირაღდანი აანთო სცენაზე. ი. გიგოშვილის აბიგაილი ეტყობა ცბიერია, თუმცა მისი ცხოვრების ნიღაბი ზოგჯერ ზედმეტად გამჭვირვალეა. მან მოაქვს მაყურებლამდე ვნებით შეპყრობილი ახალგაზრდა ქალის მძვინვარება. იგი მოძრავია, ტემპერამენტიანი, ზოგჯერ გარეგნულად მშვიდი, სულებთან საუბრის სცენებში შემაძრწუნებლად ცბიერი. მას სძულს მეტოქე ქალი და ყველა ძალას ხმარობს ელიზაბეტის გასანადგურებლად. მისი კონტრასტია გუდი ელიზაბეტი, პურიტანული ზნეობის ადამიანი, თავშეკავებული, ჭკვიანი, ამაღლებული. ამ ორი ქალის სიყვარული ერთმანეთს შეეჯახა და ორივენი სასტიკი სამსჯავროს წინაშე წარსდგნენ. ერთი ცბიერებით, სიცრუით ცდილობს ჯონ პროქტორის სიყვარულის მოპოვებას, მეორე — ზნეობრივი სიფაქიზით, დიდი თავშეკავებით, ნათელი გონებით იცავს ქმრის ღირსებას, ოჯახის სახელს.

ამ ურთულესი ხლართების გახსნას ცდილობს ჯონ პროქტორი (გ. მაღალაშვილი). ეს არის უბრალო, რაინდული თავშეკავების ადამიანი, ჭკვიანი და ზნეკეთილი, თუმცა არა ულოდველი, არ ეპუება ინკვიზიციის კოცონებს და სახრჩობელას. მისი მორალური წინაპრები რომ ხან გმირობის ვაჟკაცები იყვნენ. მას არც გალილეის სახელი და სწავლულობა გააჩნია, არც ჯორდანო ბრუნოსი, მაგრამ შეძლია პირში მიაძახოს ბრალმდებლებს: „მაინც ბრუნავს დედამიწა". ამ უბრალო კაცმა იცის კუდიანობის ამბის მიღმა დაფარული ინტერესთა თამაში, იცის როგორ უპირისპირებს ანგარიში ადამიანებს ერთმანეთს მეზობლის სხეულის თუ მიწის ნაკვეთის დასაკუთრების ეგოისტური ინსტინქტებით.

ამ საოცარ ჭიდილში არსებობს ორი უკიდურესი მხარე: უმაღლესი მსაჯული და უბრალო მოსამსახურე გოგონა მერი უორენი (მ. მაღლაკელიძე). უთანასწორო ბრძოლა ნამდვილდება. ვინ გაიმარჯვებს? მართალი ჯონ პროქტორი თუ უსასტიკესი დენფორტი? ეს არის ძლიერთა შეჯახება. ამგვარი ბრძოლა არასოდეს მთავრდება მშვიდობიანად. ჰეილი (გ. საღარაძე), რომელიც სამღვდელოებას განასახიერებს, განსხვავებით შერისხისაგან, მტკიცე პრინციპები აქვს. მას გულწრფელად სჯერა კუდიანების არსებობა და ისე ჩამოდის სეილემში, როგორც მკურნალი ექიმი ეპიდემიის ადგილას. იგი ღმერთის სახელით მოქმედებს და სიკეთის ზეიმს მიელტვის. მოვლენათა განვითარების ლოგიკა მის ფანატიკურ ეჭვებს გადალახავს და სასიკვდილოდ შეპყრობილს დენფორტს: ხელები სისხლში მაქვს მოსვრილი. ამ კაცის სულიერი ცხოვრება მკვეთრად იმსხვრევა და მისთვის გაუგებარი რჩება სიკვდილის წინაშე მდგარი ადამიანის გაუტეხელობა, განწირულ ადამიანებს სიცოცხლისაკენ მოუწოდებს. „სიცოცხლე ყოველივეზე, ყველაფერზე ძვირფასი საჩუქარია ღვთისაგან ბოძებული და როგორც არ უნდა იყოს ადამიანის განზრახვა, თვით ყველაზე უმაღლესიც კი, გამართლება არა აქვს მას, თუ ამ ღვთაებრივ საჩუქარს ეჭვს ქვეშ აყენებს". და აქ ყველაზე უმძიმეს პროცესში უბრალო უდანაშაულო ქალი ელიზაბეტი მშვიდად უპასუხებს ღვთის მსახურს: „ცდუნებით ალაგავთ თქვენ სიტყვები, მისტერ ჰეილ, როგორც სიტყვები თვით ეშმაკისა". ეს კატასტროფაა ყველა საფუძველზე მდგარი მორწმუნისა, რომელმაც დაინახა ღმერთის სახელით ჩადენილი დიდი ბოროტება და ვერ შესძლო მისი შეჩერება.

არც ჯონ პროქტორი, არც ელიზაბეტი, არც მერი უორენი არ არიან არტურ მილერის პიესაში იდეალურად შელამაზებული გმირები. „ათი მცნებიდან" მათ ერთი რომელიმე მაინც ავიწყდებათ, მერყეობენ სიკვდილისა და სიცოცხლის, შიშისა და გაბედულების შორის. მათი ხასიათების წინააღმდეგობრიობა ქმნის რთულ ფსიქოლოგიურ კვანძებს და უკიდურესობამდე ძაბავს ატმოსფეროს. ამ სამი ადამიანის წინაშე ზვიადად დგას მოსამართლე დენფორტი, გუბერნატორის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, „იგი პირქუშია, თუმცა ნაწილობრივ იუმორიც გააჩნია. უყვარს სოფისტიკა, მაგრამ მას მხოლოდ თავის საქმისა და დაკავებული თანამდებობის ინტერესებისათვის იყენებს". ასე მოკლედ ახასიათებს დენფორტს ავტორი. დანარჩენი მსახიობების ნიჭსა და ოსტატობაზეა. და აი მეორე მოქმედებაში გამოწყობილი, ეპიკური ნაბიჯებით რკინის ფარდის წინ გამოჩნდება მოსამართლე კაცი. მის გარეგნობაში შერწყმულია სამხედრო პირის ნებისყოფა და დიდი მოხელის ამპარტავნება. ჭაღარაა, მოკლედ შეკრეჭილი წვერი, წამახვილებული ცხვირი და აქტიური თვალები უცებ აღძრავს შიშისა და სისასტიკის შეგრძნებას. და გამოჩნდა თუ არა ეს კაცი სცენაზე ბევრი რამ უცებ შეიცვალა, ყველაფერმა თავი ერთად მოიყარა, იმისათვის, რომ მერე საოცარი ძალით გაიშალოს. ს. ზაქარიაძემ უცებ დაიპყრო დარბაზი. ჩვენს წინაშე იდგა ბოროტება, რომელსაც გაურბიხარ ინსტინქტურად, მაგრამ მაინც საოცრად გიზიდავს, გაინტერესებს. ეს არის ადამიანი, რომელიც შეგნებულად იცავს თეოკრატიის პრინციპებს, იცლავს ყოველგვარ გრძნობიერებას და გონებას ემორჩილება.

ამ კაცს შეუძლია თქვას: კანონი კლდესავით ურყევია, მის წინაშე არაფერს ნიშნავს ცრემლების ოკეანეები, ყველაზე უმძიმეს მომენტში, როცა უდანაშაულო ადამიანის დასჯა შესაძლოა გადაიდოს, ეს პირქუში კაცი იტყვის: „როგორც არ მომცა ღმერთმა უფლება მზის ამოსვლის შეჩერებისა, ისე არ მაძლევს იგი ნებას, გადავდო დასჯა". მას კარგად ესმის, როგორ მოჰყვება სისხლს სისხლი. იცის მთელი საიდუმლო შეთითხნილი პროცესისა, სადისტური სიმშვიდით აცხადებს ყველაზე ცინიკურ გადაწყვეტილებას: „თორმეტი კაცი უკვე დასჯილია, დიდი უსამართლობა იქნება მათ მიმართ, თუ ამჟამად დანარჩენებს ვაპატიებთ". ამ საოცარი პიროვნების სიმკაცრე უფრო შორს მიდის. იგი ციხის ჭუჭყიან ეზოში მარხავს ადამიანის მამაცობას, ართმევს მას ადამიანებისათვის სათქმელ უკანასკნელ სიტყვებს. მის მოსამართლურ პატივმოყვარეობას კვებავს მეთოდურად, ლოგიკის შესაბამისად შექმნილი დოკუმენტაცია, წამებით მოპოვებული ცრუ საბუთები.

ეს უსასტიკესი კაცი მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ წუთიერად არის სუსტი და თავისთავის წინაშე გაოცებით იტყვის: „საიდანაა აქვთ ამდენი ძალა ადამიანებს". იგი სიცოცხლისა და სიკვდილის შეჯახებით ქმნის სულიერ მოძრაობათა ქარიშხალს და თითქოს ტკბობას ეძლევა კიდეც ამ საოცარი სანახაობით. ასეთი დენფორტი შექმნა ს. ზაქარიაძემ სცენაზე. მან ერთხელაც არ წაიძრო ნაცრისფერი ხელთათმანები, რომ ხელებზე სისხლის კვალი არ დაჩნეოდა.

„განა ფერფლი და მტვერი შეიძლება იქცეს დროშად, განა მტრედები აღმოაჩენენ ჭეშმარიტებას?" — ეუბნება ჰეილი ელიზაბეტს. „ის პატიოსანი კაცია"... უპასუხებს ჯონ პროქტორის ამაყი მეუღლე და დენფორტმა იცის ამ პატიოსანი სიკვდილის ძალა, იგი გაბოროტებული სტოვებს სცენას და დარბაზში რეკვიემივით ისმის ავტორის ხმა საუკუნეებში, როგორ იზეიმა სიმართლემ ოცი წლის მერე, როგორი ბედი ეწია პერისს, აბიგაილს, ელიზაბეტ პროქტორს. აქ არტურ მილერი ხედავს ახალ სეილემებს, გესტაპოს და მაკარტიზმის პროცესებს, ხედავს ამერიკის ფანატიკოსებს. „თეოკრატია მასაჩუსეტსში [illegible] დამხობილი იყო". ეს არის პიესისა და სპექტაკლის უკანასკნელი ფრაზა, ეს არის ისტორიის მიერ გამოტანილი განაჩენი.

გიორგი ხუხაშვილი

თანამედროვეობის გრძნობით

იაროსლავ ჰაშეკის „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი" მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნაწარმოებია. თითქმის ყველა ქვეყანაში იცნობენ შვეიკს და უყვართ მისი ცოცხალი იუმორი, მახვილი და ხალისიანი სიტყვა, რითაც იგი დაუნდობლად ამხელს ყოველივე დრომოჭმულსა და დახავსებულს.

შვეიკის ისტორიული როლის შესახებ იულიუს ფუჩიკი წერდა: შვეიკი „ჰაბსბურგთა ღრძნის რეაქციულ წყობას, აქტიურად ებრძვის ჩაგვრისა და თვითნებობის შენობის ნგრევაში, თუმცა ყოველთვის შეგნებულად არა".

შვეიკი ღვარძლიანი გამანადგურებელი სარკაზმით დასცინის, მწარედ აბუჩად იგდებს „თავისუფალი სამყაროს" მესვეურებს იმისა და კოლონიალიზმის უკანასკნელ მოჰიკანებს...

სწორედ ასეთ შვეიკს ვხედავთ ჩვენ სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული დრამის სპექტაკლში, რომელიც ახლახან განახორციელა ახალგაზრდა რეჟისორმა ხანდრო მრევლიშვილმა.

დამდგმელი რეჟისორი რთული ამოცანის წინაშე იდგა. ამ ამოცანას ის გარემოებაც ართულებდა, რომ მან თვითონ იკისრა ი. ჰაშეკის სატირული რომანის ინსცენირება. ცხადია, სპექტაკლის წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული ინსცენირების მხატვრულ ხარისხზე.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ხ. მრევლიშვილმა მშვენივრად დაძლია რთული ამოცანა და მოგვცა თანამედროვე, საინტერესო კომედია, რომელიც მაყურებლის მხიარულ სიცილს იწვევს, მაგრამ სპექტაკლში ასევე მრავალფეროვნად არის მოცემული ღრმა და დამაფიქრებელი ადგილები.

რეჟისორი სწორად მოიქცა, რომ უპირატესობა დაუთმო ნაწარმოების ძირითად აზრს, მის სოციალურ ჟღერადობას, პოლიტიკურ სიმახვილეს და მაყურებლამდე ნათლად და გამოკვეთილად, მხიარული ფერებით მიიტანა ნაწარმოების არსი. წარმოდგენის გარეგნული სტილი ჰარმონიულად ეხამება ნაწარმოების ბუნებას. ხ. მრევლიშვილმა გვერდი შეგნებულად აუარა ზედმეტ „სტილიზაციას", რომელსაც ხშირად მშრალ ეპიგონიზმამდე მიჰყავს შემოქმედი, აქცენტი გადაიტანა ძველი ხასიათების ახლებურად გახსნაზე და იუმორისტული სიტუაციების მამხილებელ აზრზე.

სპექტაკლის მხატვრული გაფორმება კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ახალგაზრდა მხატვარმა ე. კოტლიაროვმა სცენის სპეციფიკის კარგი ცოდნა გამოამჟღავნა. მხატვრულ გაფორმებაში ვერ ნახავთ ნატურალიზმის მცირე გამოვლინებასაც კი. მისი დეკორაციები სივრცობრივად თავისუფალია და მსახიობთა მოქმედებისათვის ზედმიწევნით მოხერხებული. მაგრამ აქა-იქ მხატვრული გადაწყვეტა მაინც საეჭვოდ მიგვაჩნია. ვფიქრობთ, მხატვრის ნამუშევარში პირობითობა ზედმეტი დოზით არის მოცემული.

ლ. ქიმბიშევს სპექტაკლისათვის გამომგონებლურად შეურჩევია მუსიკა, რომელიც კარგად მიჰყვება რეჟისორის ჩანაფიქრს და ორგანულ კავშირშია ნაწარმოების საერთო ქარგასთან.

„ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი" საინტერესოა მსახიობური შესრულების მხრივაც. მივმართოთ ერთგვარ სტატისტიკას: სპექტაკლში სულ ცხრა მსახიობი მონაწილეობს, როცა 27 მოქმედი პირია. თითოეულ მათგანს რამდენიმე როლის შესრულება უხდება (მაგალითად, მსახიობი გ. რატიანი ექვს როლს ასრულებს).

რეჟისორმა სპექტაკლში შეიყვანა ერთი „ზედმეტი" პერსონაჟი-ისტორიკოსი, რომელიც მაყურებელს თანმიმდევრულად უხსნის ისტორიული მოვლენების განვითარებასა და ნაკადლობას.

ახალგაზრდა მსახიობი შოთა გაბელაია უშუალობით და მონდომებით განასახიერებს შვეიკის როლს. მსახიობი თავისუფლად მოქმედებს სცენაზე. მისი ჟესტი, მიმიკა, მოძრაობა ყოველ მომენტში გამოზომილი და მიზანდასახულია. შ. გაბელაია ზედმიწევნით კარგად გრძნობს იუმორისტულ სიტუაციას, ხშირად იყენებს გროტესკის, კარიკატურის ხერხებს. შვეიკის სახეში მსახიობმა მთელი სისრულით გამოამჟღავნა თავისი კომიკური შესაძლებლობები. მსახიობი განსაკუთრებით ძლიერად ატარებს სატუსაღოს, ლუკაშის სახლის და პოლკის კანცელარიის სცენებს. შვეიკის როლი ახალგაზრდა მსახიობის უეჭველი შემოქმედებითი წარმატებაა, მაგრამ შ. გაბელაიას შვეიკს აუცილებლად სჭირდება შვეიკისეული „სიმძიმე" და „სიზანტე".

დამაჯერებელი ოსტატური თამაშით გამოირჩევიან საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თ. ბოლქვაძე (მანი მიულერი, ქალი ლუკაშის სახლში, ბარონესა), აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტები მ. გვალია (პოლიციის კომისარი, რაინიშზელი, ბალოუნი, ჯარისკაცი), ი. იქროპირიძე (პატიმარი, სანიტარი, ფელდფებელი, ჯარისკაცი), გ. რატიანი (ჯაშუში, მეორე ავადმყოფი, პატიმარი, ვახმისტრი, მარეკი, ოფიცერი).

ასევე დამამახსოვრებელ სახეებს ქმნიან საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. ნინიძე (გენერალი, პირველი ავადმყოფი), აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ლ. ფილფანი (პალივეცი, მიკიტანი და ობერლეიტენანტი ლუკაში), ა. ბერძაძე (ისტორიკოსი), გ. ხურცილავა (ექიმი და ლეიტენანტი დუბი).

სპექტაკლი „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი" სოხუმის თეატრის მნიშვნელოვანი შემოქმედებითი წარმატებაა. მასში ჩაქსოვილია ახალგაზრდა ხელოვანთა ნიჭი, მონდომება და ნამდვილი არტისტული ცხოვრება.

რამაზ კუპარავა

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან.

ცოცხალი შთაბეჭდილებები

ქართველმა მკითხველმა ახლახან მიიღო ა. ჭელიძის საინტერესო წიგნი — „ექვსი წელი სპარსეთში"*, რომელიც მდიდარია ცოცხალი შთაბეჭდილებებით და ყურადღებას იქცევს მასალის ცოდნით და მისი გადმოცემის პუბლიცისტური სიმახვილით. წიგნს წამძღვარებული აქვს რედაქტორის კ. ტაბატაძის წინასიტყვაობა.

ამბაკო სოლომონის-ძე ჭელიძე (1878—1940 წ.) ჩვენში კარგად ცნობილია, როგორც ირანული კლასიკური მწერლების შესანიშნავი მთარგმნელი: ომარ ხაიამის „რუბაიების", სადის „გულისტანისა" და „ბუსტანის", ნიზამი განჯელის „ლეილა და მაჯნუნის" და „ხოსროვისა და შირინის" და სხვათა მთარგმნელი. მასვე ეკუთვნის საყურადღებო ისტორიულ-ეთნოგრაფიული შინაარსის ნაშრომი „ფერეიდანი" (თბილისი, 1935 წ., მეორე შევსებული გამოც., 1951 წ.).

დიდი ინტერესი აღძრა აგრეთვე იმავე ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებაზე განსვენებულის ქვრივის სარა ჭელიძის მოგონებებმა (ჟურნ. „ცისკარი", 1958 წ. № 1).

ა. ჭელიძემ, რომელიც სპარსეთში დიდხანს მუშაობდა, ღრმად შეისწავლა სპარსული ენა და პოეზია, გაეცნო მშობლიური ირანის ცხოვრებასა და ადათს. ის, რამაც ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ ა. ჭელიძე 1905-1920 წლებში თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

ავტორის ახალი წიგნი დაწერილია ჟურნალისტის სტილით, მაგრამ იკითხება, როგორც მხატვრული ნაწარმოები.

ა. ჭელიძის ახალ წიგნში, მართალია, სპეციალურად არ არის აღწერილი შაჰ-აბასის მიერ კახეთიდან სპარსეთში გასახლებულ ქართველთა შთამომავლების ყოფა-ცხოვრება (ეს წინანდელ წიგნში აქვს მოცემული), მაგრამ მათაც იმავე ღუხჭირ პირობებში უხდებათ ცხოვრება, როგორც საერთოდ იქაურ მცხოვრებლებს.

ავტორის მიერ წარმოდგენილი ირანის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიური, შინაურ და საგარეო ურთიერთობათა, ზნე-ჩვეულებათა და წარმოდგენათა დახასიათება თვალნათლივ უხატავს მკითხველს ფეოდალურ-კაპიტალისტურის წინაშე სოციალისტური სისტემის უპირატესობას, რაც ამავე წიგნის აქტუალური მხარეთაგანია.

ავტორის მოგზაურობა ენზელ-რეშთიდან თეირანამდე, თვით თეირანი, რეზა-შაჰის პიროვნება, ახალი მთავრობის მიერ ტანისამოსის რეფორმა, გლეხის ცხოვრების პირობები, უფლებო ჩადრიანი ქალის ყოფა, მომწამვლელი თრიაქის („მორფის" ნედლეულის) მოპოვებაზე დამყარებული ეკონომიკა, ისლამისა და სასულიერო წოდების ისტორიული და ახლანდელი რაობა, სახალხო და სასულიერო დღესასწაულები და განსაკუთრებით სანახაობები (მოჰარამის მისტერიები) და ნოვრუზობა (ახალი წელი ირანში მარტში, ახალ გაზაფხულზე იწყება), სამრეწველო კაპიტალი და ამერიკული წესები, ვაჭრები, სარაფები და დალალები, ჰაჯი (მექაში ნამყოფის წოდება) და ბოლოს — ისპაჰანი და მოგზაურობა ისპაჰანიდან თეირანამდე, ყველაფერი ეს ისეა აღწერილი და ძირითადად დახასიათებული, რომ მკითხველს უმდიდრდება თავისი ცოდნა და წარმოდგენები ირანელებზე და ავტორის მადლიერი რჩება.

აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია უახლოეს ხანში ისევ გამოიცეს მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი და საკითხავად საინტერესო, ეხლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ლადო აღნიაშვილის წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები" (თბილისი, 1896 წ.).

აგრეთვე სასარგებლო იქნება ერთად გამოიცეს ა. ჭელიძის წიგნი „ფერეიდანი" (1951 წ.) და აქ რეცენზირებული ნაშრომი სარა ჭელიძის ზემოხსენებული წერილითურთ.

ი. მეგრელიძე

---

* ა. ჭელიძე, „ექვსი წელი სპარსეთში", გამომცემლობა „მეცნიერება".

გ. მერკვილაძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მწერალი - ლიტერატურისმცოდნე, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ - თანამშრომელი გ. ი. მერკვილაძე რამდენიმე წელია მუშაობს თანამედროვე ქართული რომანის პრობლემების კვლევაზე. ამ თემას მიეძღვნა მისი წიგნი „თვალთახედვა მხატვრისა" (1963 წ.), ხოლო მომდევნო წელს გამოიცა აღნიშნული პრობლემებისადმი მიძღვნილი მეორე წიგნიც „თანამედროვე ქართული რომანი".

თავისი ეს გამოკვლევა თანამედროვე ქართულ რომანზე გ. მერკვილაძემ წარადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

ამ დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. მერკვილაძისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ალექო შენგელიას შემოქმედებითი საღამო

ქალაქ ცხაკაიას სახალხო თეატრის დარბაზში გაიმართა პოეტ ალეკო შენგელიას დაბადების ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ რ. ხოთერიამ. მოხსენება წაიკითხა მასწავლებელმა ნ. გაბელიამ. სიტყვები წარმოთქვეს რაიონის ინტელიგენციის სახელით — მ. აფშილავამ, ახალგაზრდობის სახელით — ი. მილორავამ, ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა სახელით — გ. გაგულიამ, მოსწავლეთა სახელით — ნ. მილიტონიამ, დამსახურებულმა მასწავლებელმა ნ. ნოდიამ, მოქანდაკე ო. პარჯიამ, პარტიის ცხაკაიის რაიკომის მუშაკმა ა. განგიამ. ლექსების კითხვით გამოვიდნენ ა. ბერიაია, მ. შენგელია და ს. სეთიაშვილი.

საღამოში მონაწილეობა მიიღეს, სიტყვები წარმოთქვეს და ლექსები წაიკითხეს მწერლებმა თ. ჯანგულაშვილმა, ო. ჭელიძემ, ლ. სულაბერიძემ, ო. შალამბერიძემ, თ. გოგოლაძემ, გ. მარკოზიამ, ნ. ჯალაღონიამ, ჭ. ისაკაძემ, ბ. ბერძენიშვილმა, ჯ. ნოქაბაძემ, ო. კუპრავამ, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა რ. სტურუამ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ვ. ტორონჯაძემ, კინორეჟისორმა ლ. ხოტივარმა, პროფესორებმა ა. ადამიძემ და მ. შენგელიამ.

მწერალთა — კავშირში

გ. ასათიანის წიგნების განხილვა

მწერალთა კავშირის კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციამ მოაწყო გურამ ასათიანის წიგნების „პოეზია და პოეტების" და „ქართველი ლირიკოსების" განხილვა.

განხილვა შესავალი სიტყვით გახსნა ბესარიონ ჟღენტმა.

მოხსენებით გ. ასათიანის წიგნების შესახებ გამოვიდა გურამ გვერდწითელი.

გ. ასათიანის წერილები, — აღნიშნა მომხსენებელმა, — გამოირჩევა ლიტერატურული მოვლენების ღრმა ანალიზითა და განზოგადებით. მის წიგნებში მოთავსებული წერილები ავტორის მაღალ პროფესიულ დონეზე მეტყველებენ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ბ. ჟღენტმა, ლ. კალანდაძემ, კ. იმედაშვილმა, გ. კანკავამ და გ. გაჩეჩილაძემ ილაპარაკეს გ. ასათიანის წიგნების ღირსებებზე და ავტორს მისცეს ზოგიერთი შენიშვნა.

ახალი სეზონი — ახალ შენობაში

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრმა განვითარების საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო. თავის არსებობის მანძილზე კოლექტივმა მრავალი გამარჯვება მოიპოვა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქართველი კომპოზიტორები და დრამატურგები პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით მოეკიდნენ ეროვნული საოპერეტო ხელოვნების განვითარების საქმეს, მათ შექმნეს მთელი რიგი საყურადღებო ნაწარმოებები, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებით იდგმებოდა თეატრის სცენაზე. ამ თეატრის რეპერტუარში წამყვანი ადგილი სწორედ თანამედროვეობის თემაზე შექმნილ ოპერეტებს უჭირავთ, რომლებშიაც ასახულია ჩვენი დღევანდელობა.

უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე თეატრის შემოქმედებით მუშაობას ძლიერ აბრკოლებდა საკუთარი შენობის უქონლობა. ძველი შენობა ვეღარ აკმაყოფილებდა თეატრის მოთხოვნილებას. საჭირო იყო მისი საფუძვლიანი რეკონსტრუქცია. ვიდრე განახლებულ შენობას მიიღებდა, თეატრის მუშაობა უხდებოდა თბილისის რკინიგზელთა კულტურის სახლში, სომხური დრამის თეატრში, ი. ჭავჭავაძისა და გ. პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლებში, საქართველოს რაიონების თეატრებისა და კულტურის სახლების სცენებზე.

ბუნებრივია, სისტემატური საგასტროლო მოგზაურობა და გასვლითი სპექტაკლები გავლენას ახდენდა სპექტაკლების ხარისხზე. ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდა. თბილისის არქიტექტურულ ანსამბლს კიდევ ერთი მშვენიერი ნაგებობა შეემატა.

თეატრის დასი შეივსო საკმაოდ ახალგაზრდა ძალებით, რომელთაც დაამთავრეს ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია, შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი და თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი. ასევე გაიზარდა გუნდის, ბალეტისა და ორკესტრის შემადგენლობა.

ახალი შენობის საზეიმო გახსნისათვის, რაც 26 მარტს მოხდა, მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივმა მოამზადა სპეციალური კონცერტ-სპექტაკლი „ჩვენი სიხარული". ლიბრეტოს ავტორია ლ. პეზანია, მუსიკალური კომპოზიცია ეკუთვნის შ. მილორავას, რეჟისორია არ. ხანთიშვილი, მხატვრული გაფორმება ეკუთვნით ოთ. ლითანიშვილსა და თ. მაჭარაშვილს, დირიჟორია მ. ბოიჩაძე, ბალეტმეისტერი — ლ. მაჭავარიანი, ქორეოგრაფი ჭ. ბაგრატიონი. კონცერტ-სპექტაკლში მონაწილეობს თეატრის მთელი დასი.

ტარიელ ხავთასი

სურათებზე: სცენები მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლ-კონცერტიდან „ჩვენი სიხარული".

ფოტოები მ. როსტიაშვილისა.

„იაკუბ ხანი"

(დასასრული)

ვერ შეედრება. ჩვენი ქვეყანაც მადლიანი და მდიდარია, თითქოს ბუნებას თავისი უხვი კალთა საქართველოში დაუბერტყავს, ჩვენი ველები ისეთი ნაყოფიერია, კაცი უკეთესს ვერ ინატრებს. ახლა თვალწინ დღეები ისლამებს აღარ იცოდავთ? მრავალრიცხოვან მტერს გადარჩენილი. ეს რამდენიმე ასეული ათასი კაცია ხომ? ნეტავი იქნებოდა, რომ ამ ორ უზარმაზარ, მაგრამ უცხო დაუსრულებელ მტრულ სახელმწიფოებს შორის მოწყვდეული ჩვენი პატარა ქვეყანა სამოთხედ გვექცია, რომ...

— რა რომ?

— რომ ქართველი ვაჟკაცები ერთი მუჭა ერისთავებისა და მდიდრების, მათი სიხარბისა და კინკლაობის გამო ერთმანეთის სისხლს არ ღვრიდნენ. ამ პატარა ფეოდალების ათეული საბრძოლო რაზმებისაგან ერთი დიდი არმიის შედგენა შეიძლებოდა. რა ბედნიერება იქნებოდა, რამდენიმე წელიწადს მაინც შეწყვეტოდნენ ომი. მაშინ კანონსა და სამართალს კვლავ ძალა მიეცემოდა. მაშინ გონივრული, მშვიდობიანი მოღვაწეობით შეძლებდით მოგვესპო სისხლის აღების საშინელი და მავნე ადათი.

— ეჰ, ძვირფასო ექიმო იაკუბ, ვინ იცის კიდევ რამდენი „რომ" და რამდენი „თუ"-ს განმარტება იქნება საჭირო.

— მაგრამ ერეკლეს დიდებამ, ახლა სხვა ჰორიზონტამდის მიაღწია. მე თვითონ ვიყავი მოწმე, როგორი ზიზღით, მაგრამ მაინც როგორი პატივისცემით ახსენებდნენ თურქები მის სახელს. ქართველები ახლა აღორძინების გზაზე დგანან, ჩემო კეთილო ელჩო.

— მომაკვდავი ლომი მთელ თავის უკანასკნელ ძალას იკრებს, და მტერს გამანადგურებელ დარტყმას უზიდებს. ვიმეორებ, საქართველო ბოლო აღმართად მაჩვენე საზიზღარი მტრების წინააღმდეგ. სპარსელებს და თურქებს ოდნავ მეტი ხალხი ყავთ და ძალაც ჩვენზე მეტი შესწევთ, მაგრამ მათი აღსასრული ახლოვდება.

— რატომ მომაკვდავი?... ელჩო უფლისო, რად უყურებთ ასე თქვენი ხალხის ბედს? სანამ ქართველ ქალს დედობის უნარი შესწევს, მანამ საქართველოს სიკვდილი არ უწერია.

— შესაძლებელია, — თქვენ მართალი ბრძანდებით, ჩემო მეგობარო. მეფე ერეკლეს სახით, ბუნებამ თითქოს თავისი უკანასკნელი საჩუქარი გვიბოძა. ის ოცი წელი იბრძოდა ქართლისა და კახეთის, საქართველოს ამ ორი უდიდესი კუთხის განთავისუფლებისათვის. როგორც იცი, ცხარე ბრძოლებში გავიმარჯვეთ. ჯერჯერობით თურქეთისა და სპარსეთისაგან საფრთხე აღარ გვემუქრება. ისინი ერთმანეთის ბრძოლით არიან გართული.

— ალბათ, მეფე ერეკლე კარგად გამოიყენებს ამ დროს. — ის მარტო ჯარის წინამძღოლი და დიპლომატი კი არ არის, არამედ შორსმჭვრეტელი მმართველიც. სამეფო ძალაუფლების განმტკიცებისათვის, მან ბოლო უნდა მოუღოს წვრილი თავადების ურჩობას და თავისი მეუფება, ძლიერი ლაშქარი უნდა შექმნას. ამისათვის კი ფული, ძალიან ბევრი ფულია საჭირო. ჩვენმა ელჩებმა მოიარეს საფრანგეთი, ვენეცია, იყვნენ რომის პაპთან და რუსეთის იმპერატრიცასთან, მაგრამ ყველამ მხოლოდ ტკბილი სიტყვით და დაპირებებით ისტუმრებდნენ. ამან კი ქვეყანა დააუძლურა, სამეფო ხაზინაც დაცარიელდა.

— მაგრამ თქვენ თვითონ არა სთქვით, ჩემო ძვირფასო ელჩო, რომ თქვენი ქვეყანა მდიდარია მადნეულით. მერე და ქართველები რატომ არ იყენებენ ამ სიმდიდრეს? თქვენს მიწებს რატომ უკეთესად არ ამუშავებენ? რატომ არ ანვითარებთ მრეწველობას? არ ვაჭრობთ სხვა ქვეყნებთან? ამ კითხვებისათვის მაპატიეთ, მაგრამ რატომ არ აწესრიგებს მეფე ერეკლე გადასახადების საქმეს?

— ჩვენს მეფეს, ორი ათეული წელია, რკინის აბჯარი არ გაუხდია. იგი ყოველთვის წინ უძღოდა თავის ლაშქარს. მხოლოდ და მხოლოდ მის ჭკუა-გონებას, ძალასა და ენერგიას უნდა უმადლოდნენ ქართველები, რომ ხანგრძლივი მშვიდობიანობის დროს, მეფემ ქვეყანა გაძარცვისაგან გადაარჩინა. ახლა მას ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, რაც კი განზრახული ქონდა. ფეოდალები ერთმანეთთან მამულების ანდერძებს, გლეხობა მთებში იხიზნება, მთელი სახელმწიფო პარტახდება. მაღაროებში მომუშავენი ტყვეებად გაიტაცეს და კარგ ფულად გაყიდეს სპარსეთში. ვაჭრებს და ხელოსნებს გადასახადში უკანასკნელი ლუკმა-პური და ხელსაწყო-იარაღიც წაართვეს. თუმცა ვინ იცის, იქნებ ჯერ კიდევ არ იყოს გვიან...

აბაშვილი სავარძლიდან წამოდგა. ფერმკრთალ სახეზე თითქოს ვარდისფერმა გადაჰკრა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, წელზე ხელები შემოიდო და გაიზმორა, თითქოს უნდოდა გაეგო, ძვლები მთელი მაქვს თუ არაო. შემდეგ, როგორც მოხუცებს სჩვევიათ ხოლმე, ღრმად ამოისუნთქა და ისევ დაჯდა. ელჩი ფიქრებს მიეცა. რეინეგსსაც არ სურდა ფიქრისთვის ხელი შეეშალა.

შემდეგ ისევ აბაშვილმა დაიწყო:

— დიახ, შეიძლება ჯერ კიდევ არ იყოს გვიან. თუ მეფე თავის კარზე შემოიკრებს სწავლულ, პატიოსან ახალგაზრდებს, მეცნიერებს, ორგანიზატორებს...

— სულერთია ქართველი იქნება თუ უცხოელი, — მაშინ შეიძლება კვლავ ამოქმედდეს მაღაროები; ვაჭრები ისევ გაბედავენ გაუდგნენ შორეულ გზებს თავიანთი საქონლით. ხელოსნები დაიწყებენ მუშაობას და დანგრეულ ადგილებში კვლავ აღადგენენ სახლებს, საავადმყოფოებსა და ეკლესიებს...

აბაშვილმა ჩიბუხი მოსწია და რეინეგსს თვალი თვალში გაუყარა.

— ექიმო იაკუბ, ჩვენ თქვენისთანა ხალხი გვჭირდება. შეიძლება ჯერჯერობით მეტიც არ იყოს საჭირო; კარგად გვესმის თქვენი სამკურნალო ხელოვნება. ისიც გვესმის, რომ თქვენ ლითონის გამოდნობისა და ქვანახშირის მოპოვების საქმეშიც მშვენივრად ერკვევით. თქვენმა ქვეყანამ მოგვცა [illegible], რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ქართველებს სტამბის მოწყობაში. ჩემი ქვეყანა თქვენი მრავალმხრივი საუკეთესო ნიჭის გაფურჩქვნისათვის კარგ შესაძლებლობას გთავაზობთ. თუ ქართველი ხალხი გაღარიბდა, იქამდე მაინც არ დაეცემა, რომ იმას, ვინც თავის ცოდნას მის ცხოვრებისადმი მოახმარს, ბრწყინვალე მომავალი და სიმდიდრე ვერ მიუზღოს სამაგიეროდ. მიიღეთ ჩემი წინადადება და ჩამობრძანდით საქართველოში. პირობას გაძლევთ, არ დაგრჩებათ სანანებლად.

ავადმყოფის საწოლთან გამართულმა მეგობრულმა საუბარმა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ექიმზე. რეინეგსი თავის სიცოცხლეში მეორედ შეხვდა ქართველი ხალხის შვილს. პირველი შეხვედრა, ქართველ თავად ამილახვართან, საქართველოდან ხუთი ათასი კილომეტრით დაშორებულ ვენაში, მეტად ხანმოკლე იყო. მასთან საუბარმა, მაშინაც დიდი ინტერესი აღუძრა ამ გმირული წარსულის მქონე ხალხზე. მაგრამ ახლა, აზიაში მოგზაურობისას ქართველი ელჩის ნაამბობის შემდეგ კი უფრო კარგად გაიცნო ამ ხალხის ცხოვრება. ხალხისა, რომელმაც მრავალი ტანჯვა-წვალების მიუხედავად, მაინც არ დაკარგა სულიერი სიმტკიცე და ვაჟკაცობა. მისთვის სასურველი იყო აბაშვილთან ერთად ახლავე გამგზავრებოდა გზას თბილისისაკენ. მაგრამ თურქეთში მიღებული ვალდებულება უკარნახებდა, პირველ შეთავაზებისთანავე არ დათანხმებულიყო. თავი შეიკავა, სანამ მიწვევას მეორედ არ შესთავაზებდნენ. იმას, ვინც პირველსავე მოწვევაზე დათანხმდება, თურქების თვალში ფასი უკარგება. მართალია მუსულმანებთან არის ასე, მაგრამ რატომ არ შეიძლება ქართველებთანაც ასევე იყოს? მათ მოაგონებს მიწა-წყალს გარშემო ხომ მუსულმანური ქვეყნები აკრავს, — გაიფიქრა რეინეგსმა.

და რეინეგსს ახლა მოეჩვენა, რომ გაზაფხულის იმ მშვენიერ დღეს ვენაში, ის ხალხი, კარის უკან რომ იდგა, მოთმინებით ელოდა თავის ბედს.

— ჩემო ელჩო, დიდად მაამეთ, გულითადად გმადლობთ მიწვევისათვის, მაგრამ ჯერ არ შემიძლია გამგზავრება. ვერ ვუღალატებ ჩემს მოვალეობას. მე ექიმი ვარ და, როგორც ხედავთ, აქ ბევრ ხალხს ვჭირდები. თუმცა, ბედნიერი ვიქნებოდი, რამდენიმე კვირით მაინც რომ შემეძლებოდა ელჩი უფლისწულის სამშობლოში გამგზავრება, თუ მისი უდიდებულესობა ღირსად ჩამთვლიდა.

— მე უკვე მოგახსენეთ, რომ ჩემი მეფე მარტო დიდი სარდალი კი არ არის, არამედ დიპლომატიცაა, — წარმოთქვა აბაშვილმა ღიმილით, — თუმცა თქვენი გადაწყვეტილება მტკიცეა, მაგრამ ვფიქრობ, ჩემს თხოვნაზე მაინც დამეთანხმებით.

— აქ დაგელოდებით ორი თვე მინდა დავყო.

შემდეგ კი ერთ ახალს გავუგზავნი კაფილასთან. თუ მანამდე ნამდვილად არ დამივიწყებთ, ჩემო კეთილო, იქ ადვილად მომძებნი.

დადგა ჟამი განშორებისა.

სომეხმა მეჯინიბემ ქართველებს ცხენები დაუძრა. მხლებლებმა საგზალი მოიმარაგეს და ყოველგვარი გააკეთეს, რომ უკვე მოსვენებულ ელჩს უმტკივნეულოდ შეძლებოდა მგზავრობა. უნაგირი ისე რბილად მოუწყვეს, რომ აბაშვილს ეგონებოდა ხავერდის სკამზე ვზივარო.

ცხენოსანთა ამალა უკვე მზად იყო გასამგზავრებლად, როდესაც შუბლიანა ოთახიდან გამოსულმა ელჩმა რეინეგსს უხმო.

— იაკუბ ექიმო, მე ჩემს სამშობლოში მდიდარ კაცად ვითვლები, თუმცა არა ყველაზე მდიდართა შორის. სპარსელ, თურქ და რუს დიდ ბატონებთან შედარებით მე მხოლოდ ერთი საწყალი კაცი ვარ. თქვენ უფრო მეტის ღირსი ხართ, მაგრამ რაკი ახლა გზას ვადგავართ, ჯერჯერობით ამით უნდა დაკმაყოფილდეთ.

ამ სიტყვებზე მან ზურგს ტანსაცმლის შიგნითა ჯიბიდან წერწერით დამშვენებული ცისფერი აბრეშუმის ქისა ამოიღო და თითქმის ძალით მიაჩეჩა ხელში რეინეგსს.

— მანდ ოთხასი ოქროს პიასტრია, დიახ უფრო მეტიც გეკუთვნით. მარტო იმიტომ კი არა, რომ მე გამკურნეთ. თქვენი წყალობით შევიძინე ჩემი ელჩობის წარმატებით დამთავრება. ამით დიდი სამსახური გაუწიეთ ჩვენს მეფესა და სამშობლოს.

ამ სიტყვებზე ნელა მიუახლოვდა რეინეგსს, თვალებში ჩახედა და ორივე ლოყაზე აკოცა. მერე გაბრუნდა და ცხენზე შეჯდა.

ამხედრებული [illegible] გასამგზავრებლად უკვე მზად იყვნენ.

ელჩმა უკან მოიხედა და ერთხელ კიდევ უკანასკნელად დაუქნია ხელი რეინეგსს. შემდეგ ცხენს დეზი შემოკრა.

ქართველების პატარა ჯგუფი ქარავანსარაისკენ მიექროდა.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი.

ИНДЕКС 66449

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონი — 3-47-10, საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00598